



## პრეამბულა

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი დაარსდა 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის 12 დეკემბრის განკარგულებით, გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და ს. ქობულაძის სახ. ხელოვნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიის გაერთიანების საფუძველზე.

2008 წლის 24 სექტემბერს დამტკიცდა გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის წესდება, რომელშიც განსაზღვრულია ცენტრის სტრუქტურა, მიზენები და ფუნქციები:

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) მეცნიერული კვლევა, მისი პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საკონსერვაციო პროგრამების შემუშავება და განხორცილებული პროექტების ექსპერტიზა; საინვენტარიზაციო-სააღრიცხვო საქმიანობა; ძეგლების ფოტოფიქსაცია; საგანმანათლებლო საქმიანობა; საზოგადოების ინფორმირება; საკონსერვაციო და კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავება; სახელმწიფოს დახმარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკის შემუშავებაში, კერძოდ:

- ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევები კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ისტორიის სფეროებში;
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია (სამეცნიერო და პოპულარული გამოცემები, გამოფენები, ვებ-გვერდები, ტურისტულ-საინფორმაციო გამოცემები; მედია პროდუქცია და სხვ.);
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ფორმირებისა და სრულყოფისათვის მეცნიერულად დასაბუთებული

თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება;

- კულტურული მემკვიდრეობის (ძველი, ახალი და თანამედროვე ხელოვნების) ობიექტების ფიქსაცია და ინვენტარიზაცია (მოძრავი და უძრავი ძეგლების პასპორტების შედგენა), კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტაციის დიგიტალიზაცია, დაკომპლექტება და არქივირება;
- ხელოვნების ნაწარმოებთა ფასეულობების (ობიექტების) ექსპერტიზა მათი კულტურული ღირებულებების დადგენის მიზნით;
- კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების (როგორც მოძრავი, ასევე უძრავი) სარესტავრაციო-საკონსერვაციო პროექტებისა და მათი განხორციელების სამუშაოების ექსპერტიზა და მონიტორინგი.
- სასწავლო და საგანმანათლებლო პროცესებში მონაწილეობა (საშუალო სკოლა, უმაღლესი სასწავლებლები, სამაგისტრო კურსები);
- კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებების ფოტოფიქსაცია, დოკუმენტირება, არქივირება და სხვ.
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო შეკრებების მოწყობა და მონაწილეობა საქართველოში და საზღვარგარეთ;
- გ. ჩუბინაშვილის ცენტრთან არსებული ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფიქსაციის ფოტო-ლაბორატორია აწარმოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა ფოტოფიქსაციასა და დიგიტალიზაციას. ლაბორატორიაში ინახება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, ახალი და თანამედროვე ხელოვნების ნაწარმოებთა უნიკალური ფოტო-ასახულობანი (სლაიდები, დიგიტალური გამოსახულებანი).

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო მუშაობას წესდების შესაბამისად წარმართავს 2008 წლის ნოემბერში არჩეული სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფ. დიმიტრი თუმანიშვილი;

თავმჯდომარის მოადგილე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მზია ჯანჯალია; სამეცნიერო საბჭოს სწავლული მდივანი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ქეთევან მიქელაძე. ცენტრის დირექტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი მარიამ დიდებულიძე, დირექტორის მოადგილე – იურისტი ლევან ზედგინიძე.

გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის **ცენტრის სტრუქტურა:**

სამეცნიერო ნაწილი – ორი განყოფილება:

- ძველი ხელოვნების განყოფილება (განყოფილების გამგე ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი – დაგიოთ ხოშტარია);

- ახალი და თანამედროვე სელოგნების განყოფილება (განყოფილების გამგე სელოგნებათმცოდნეობის დოქტორი – მარინა გაჩეჩილაძე);  
არქივისა და ბიბლიოთეკის სექტორი (გამგე – გურამ უდენტი);  
ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფი (ხელმძღვანელი სელოგნებათმცოდნეობის დოქტორი – თამაზ დვალი).  
ს. ქობულაძის სახ. სელოგნების ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორია (გამგე – მარინა ფირცხალავა).

2013 წელს ცენტრში მუშაობდა 79 თანამშრომელი: 7 მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, 28 უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, 26 – მეცნიერ-თანამშრომელი; ადმინისტრაცია და დამხმარე პერსონალი – 18. 3013 წელს ცენტრში სტაჟირებას გადიოდა 9 ახალგაზრდა მეცნიერი.

ბ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და  
ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევის ცენტრში 2013 წელს  
განხორციელდა გეგმით გათვალისწინებული შემდეგი საჭიროება

## სამეცნიერო კვლევა:

1. წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება;
2. შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრება;
3. შუა საუკუნეების ქვისა და ლითონის ქანდაკება;
4. შუა საუკუნეების კედლის მხატვრობა;
5. შუა საუკუნეების ხელნაწერი წიგნის დასურათება;
6. პატრონაჟი, კულტი და ხელოვნება;
7. ახალი და თანამედროვე სახვითი ხელოვნების განვითარების გზა;
8. ქართული სცენოგრაფია;
9. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია;
10. საარქივო მასალის დამუშავება და კვლევა

### 1.1. მიზანისთიანებული ხანის ხელოვნება

#### • კოლხური ცულების სკულპტურული დეკორი, მარიამ გაბაშვილი

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხურ კულტურაში მხატვრული ბრინჯაოს არტეფაქტებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ შესრულების ოსტატობისა და ინდივიდუალური თავისებურებების მხრივ. კოლხური მხატვრული ბრინჯაოს ძეგლებს შორის გრავირებული დეკორით შემცული სარიტუალო ცულები ამ კულტურის ერთ-ერთი განმსაზღვრელი არტეფაქტებია. მათზე დატანილი ზოომორფული გამოსახულებები თუ მრავალფეროვანი დეკორატიული მოტივები ამ ნივთების მაღალმხატვრულობაზე მიუთითებს. გრავირების გარდა, ისეთი ცულებიც მოიპოვება, რომელთა ყუაც მრგვალი ქანდაკებებით არის დამშვენებული. ასეთი სულ 11 ცულია. ისინი როგორც წესი, გრავირებულ ნახატებთან ერთად გვხვდება და არასოდეს გამოისახება გლუვი, მოურთავი ზედაპირების მქონე ნიმუშებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს არტეფაქტები შესრულების ავტონომურობით გამოირჩევა, სინქრონულ ეპოზიულ კულტურებში მოიპოვება მსგავსი მანერით შესრულებული ცულები

თუ სხვა დანიშნულების ბრინჯაოს არტეფაქტები (მაგ., სატევართა ტარის თავები, დანები), რომლებიც ანალოგიურადაა სკულპტურებით გაფორმებული. ამ მხრივ გამოირჩევა ჩრდილო-დასავლეთ ირანის ლურისტანული მხატვრული ბრინჯაო და სკეპითური “ცხოველსახოვანი სტილი” გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, რომელთა მხატვრული სტილი სხვაობს კოლხურისგან. მხატვრული ერთიანობით გამორჩეული ნიმუშები იმას გვაფიქრებინებს, რომ კოლხური არტეფაქტები ადგილობრივად დამზადებულია, თუმცა ისინი იმ პერიოდის აღმოსავლურ კულტურაშია (ირანის) ინტეგრირებული და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

- საქართველოს ლითონის სარტყელთა გრაფიკული დეკორი და მისი გენეზისი (ძვ.წ. II ათასწ. დასასრული) (2013-2014), ნინო გომელაური**

2013 წელს შეგროვდა მასალა (სარტყელები ცხოველსახოვანი დეკორით, მათი თანმხელები კომპლექსები, ჩახატულია გამოუქვეყნებული ცალები); მოძიებულია სარტყელთა დეკორის იკონგრაფიული პარალელები (კერამიკა, იარაღი აღმოჩენილი შიდა ქართლის, კახეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე); შედგენილია სარტყელთა გავრცელების რუკა დეკორის იკონგრაფიულ მოტივთა პარალელებით. დამუშავდა სპეციალური ლიტერატურა, რომელიც შეეხება სარტყელთა კონტექსტსა და დათარიღებას. საქართველოში სარტყელთა გავრცელების ისტორიისათვის შედგენილია მარტივი, გეომეტრიული სახეებით შემკულ სარტყელთა ნუსხა.

## 12. შშა საჟურნალის არჩიტექტურა

- ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა საქართველოში**

(ზოგადი კურსი ინგლისურ ენაზე), დავით ხოშტარია  
ნაშრომის მიზანი იყო ინგლისურენოვანი მკითხველისათვის IV-X საუკუნეების ქართული არქიტექტურის მოკლე კურსის დაწერა, რაც გულისხმობს როგორც აქამდე დაგროვილი ცოდნის შეჯამებას, ისე მის ხელახლა გააზრებას უახლესი მეთოდოლოგიური მიდგომების გათვალისწინებით. ნაშრომში განხილულია ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურის განვითარების ეტაპები და მათი თავისებურებები. სათანადო ადგილი ეთმობა რეგიონალურ განსხვავებების ჩვენებას და მათ ახსნას. საგანგებოდ არის გამახვილებული ყურადღება საეტაპო ნაგებობებზე (ბოლნისის სიონი, ვახტანგ გორგასლის სვეტიცხოველი, მცხეთის ჯვარი, წრომი, სამშვილდის სიონი, წირქოლი, გურჯაანის ყველაწმინდა, ვაჩაძიანის ყველაწმინდა, ხანძთა, მოქვი, კუმურდო, ოშკი) და შეფასებულია მათში განხორციელებული მხატვრული თუ ტექნიკური ინოვაციები.

- კათოლიკური ეკლესიები აღმოსავლეთ საქართველოში, ნათია ნაცვლიშვილი**

ნაშრომში განხილულია თბილისის დმრთისმშობლის მიძინებისა და წმ. პეტრესა და პავლეს და გორის წმ. ოჯახის კათოლიკური ეკლესიები, რომლებიც

აგებულია XIX ს და XX ს-ის დასაწყისში. ეს პერიოდი საქართველოს ისტორიაში აღინიშნება ძირეული პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით, რამაც განმსაზღვრელი გავლენა იქონია კათოლიკური ეკლესიების მშენებლობის პირობებზეც და მათი მხატვრულ-არქიტექტურული ფორმების ჩამოყალიბებაზეც. თბილისისა და გორის კათოლიკური ეკლესიების მშენებლობისა თუ რეკონსტრუქციის პროექტები შესრულებულია საქართველოში მოღვაწე წამყვანი არქიტექტორების – ა. ზალცმანის, ა. როგორისკის, ჩენცოვის მიერ. ისინი ასახავს XIX ს-ის კათოლიკური ეკლესიების არქიტექტურის ძირითად სტილურ მიმართულებებს (ნეოგოთიკა, ნეობაროკო). თბილისისა და გორის კათოლიკური ეკლესიები სხვადასხვა ეროვნების (ქართველები, სომხები, პოლონელები) მოსახლეობას ემსახურებოდა და მათი სამშენებლო და შემოქმედებითი აქტივობის მეტყველი იღუსტრაციაა. ამ შენობების კვლევა მნიშვნელოვანია ქართველი ერის ისტორიის თვალსაზრისითაც, ვინაიდან საეკლესიო შენობების კულტურული ისტორიული კონტექსტი ხშირად ცოცხლად ეხმიანება ერთიანი ქართული თვითშეგნების ფორმირების საკვანძო საკითხებს.

- კვარშის ეკლესია ჯავახეთში, ირინე ელიზბარაშვილი**

ნასოფლარი კვარშა სეროვისის თავზე, ახალქალაქის პლატოს სამხრეთ-დასავლეთ კიდეშია განლაგებული. რუინებად ქცეულ, გაგმის დონემდე დაყვანილ გრანდიოზული ნასოფლარის ერთადერთ ვერტიკალურ დომინანტს ეკლესია წარმოადგენს, რომელიც მის ცენტრშია აღმართული. კვლევის ამოცანას ტაძრის დათარიღება და ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების გზაზე მისთვის სათანადი ადგილის მიჩნა წარმოადგენდა. დარბაზული ტიპის ეკლესის გეგმის კომპოზიცია მინაშენებით არის გართულებული. ტაძრის პროპორციების, სივრცითი პლასტიკის, მშენებლობის ტექნიკის, წყობის ხასიათისა და ფასადების მხატვრული გადაწყვეტის ანალიზის საფუძველზე ეკლესია თარიღდება X საუკუნის I ნახევრით. ეკლესიის მხატვრულ-სტილისტური ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ მისი სივრცითი კომპოზიციის ხასიათი უჩვეულოა ჯავახეთის სამშენებლო ტრადიციებისთვის (სიმკაცრუ-სიმსუბუქე, სიმარტივე-კლასტიკურობა, განსაკუთრებული ზესტრაფეულობა) და მისი შიდა სივრცე "ჯავახურზე" მეტად "კახური" ხუროთმოძღვრული სკოლის სივრცითი განცდის მატარებელია.

- გარეჯის მრავალმთის მრავალწყაროს მონასტრის ჩრდილოეთ ოთახიანი დარბაზული ეკლესია: ეკლესიის ლოკალური კონტექსტის დაზუსტებისა და მისი მხატვრულ-არქიტექტურული მნიშვნელობის გააზრების მცდელობა, დავით ჩიხლაძე**

1990-იან წლებში მიკაგლეული მრავალწყაროს მონასტრი გამოირჩევა არქიტექტურული მრავალფეროვნებითა და ადრეული პერიოდის ფრესკული ფერწერის ნიმუშებით. მონასტრის 6 ეკლესიის რიგში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩრდილოეთოთახიან, დიდი ზომის ეკლესიას, რომელიც სამარტომყოფელოს ქვაბთა კომპლექსშია ჩართული. პეტრე შედეგად გამოირკვა რამდენიმე საკითხი: ა. ეკლესიის ინტერიერის დეკორატიული გადაწყვეტა წარმოადგენს გარეჯის დარბაზული ეკლესიების მხატვრული გაფორმების ტრადიციის ორგანულ ნაწილს და ასახავს თანადროულ მხტვრულ-

დეკორატიულ პროცესებს; ბ. გალესიის თანმხლები ჩრდილოეთი ოთახის არსებობის ფაქტი და მისი მხატვრული გადაწყვეტა საშუალებას იძლევა ამ ეკლესიის, როგორც კომპლექსის მთავრი ეკლესიის დეფინიციისა. ამასთან იგივე გარემოებები მას ცალსახად მთავარი ეკლესიების ადრეული ჯგუფს მიაკუთხნებენ; გ. სრულიად განსხვავებული კონტექსტი შეიძინა და მთავარი ეკლესიების ადრეული ჯგუფის ატრიბუციის ახალი ინდიკატორის დატვირთვა მიიღო უკვე ცნობილმა არქიტექტურულმა ელემენტმა – სამხრეთ ეგვერმა. გამოჩნდა ამ ელემენტის კლდის არქიტექტურაზე მორგების და მისი ტრანსფორმაციის გეზი; დ. მონასტრის მთავარი ეკლესიის სამარტომყოფელო კომპლექსში ჩართვის გარემოებამ მოითხოვა გარეჯის მონასტრების მთავარი ეკლესიების ადრეული ჯგუფის რევიზიის საკითხის დასმა. კვლევის შედეგებმა ერთი მხრივ მოგვცა ამ კომპლექსის X ს-ის დასაწყისით დათარიღების, ხოლო მეორე მხრივ გარეჯის სამონასტრო არქიტექტურაში კიდევ ორი მთავარი ეკლესიის არსებობის ვარაუდის გამოთქმის საშუალება. ასეთი შეხედულება კი, თავის მხრივ, საკითხების ახალ პორიზონტებს აჩენს, რომელთა შორისაა, მაგალითად, მეტი სიმწვავით დასმული, გარეჯის IX ს-ისა და X ს-ის პირველი ნახევრის მონასტრების არქიტექტურული სტრუქტურის ჩამოყალიბების საკითხი.

- წმ. ნინოს და წმ. მირიან მეფის სვეტიცხოველი, თამაზ სანიკიძე

1970-იან წლებში მცხეთის სვეტიცხოველში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევის შედეგად ტაძრის სამხრეთ მონაკვეთში გამოვლინდა ხის, მცირე ზომის, ნაგებობის ნაშთები. სამუშაოთა ხელმძღვანელმა ვ. ცინცაძემ დაასაბუთა, რომ ეს იყო მირიან მეფის და წმ. ნინოს მიერ აშენებული სვეტიცხოველი. 2006 წელს, როცა კიდევ ერთხელ აიყარა სვეტიცხოვლის იატაკი, კვლავ მომეცა საშუალება დაგვარებული ადნიშნულ ნაშთებს. ნაშრომში განხილულია ნაგებობის გეგმა და სხვა დეტალები, გაკეთებულია მისი სავარაუდო გრაფიკული და სიტყვიერი რეკონსტრუქცია. გამოთქმულია აზრი, რომ ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით ეს პირველი სვეტიცხოველი წარმოადგენდა ქართული წარმართული ტაძრების ერთი ტიპოლოგიური ჯგუფის (უფლისციხე და სხვა) ქრისტიანულ მინაბაძს, რაც სხვა მასალებითაც დასტურდება.

- წმინდა დედაქალაქი მცხეთა-მეორე იერუსალიმი, ქეთევან აბაშიძე-დადიანი გამოკვლევამ დაადგინა მცხეთი წმინდა ადგილები და იერუსალიმური ტოპონიმების დატანით შეიქმნა წმინდა ადგილების პირობითი რუკა. განხორციელდა XIX-XX სს-ის მცხეთი საცხოვრებელი სახლების ინვენტარიზაცია.

- თბილისის ათეშგა, მანანა სურამელაშვილი

თემა ეხება საქართველოს არქიტექტურულ მემკვიდრეობაში ერთეული სახით შემორჩენილ ზოროასტრულ ნატაძრალს – თბილისის ათეშგას. წარმოჩენილია მისი, როგორც უძველესი ქალაქის უძველესი ურბანული ძეგლის ღირსშესანიშნაობა, ასევე მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა ქალაქისა და ქვეყნის ისტორიის რიგ საკითხთა კვლევისათვის; აქვე თავმოყრილი და გაანალიზებულია დოკუმენტური მასალა, რომელიც ძეგლის წარსულთან არის დაკავშირებული და მოწოდებულია მასთან დაკავშირებული სამეცნიერო მოსაზრებები. და ბოლოს, განხილულია ნაგებობის ნატურაში კვლევის შედეგები

და არსებულ მასალაზე დაყრდნობით მოცემულია მისი დათარიღების მცდელობა.

- **ყოფილი საეკლსიო მუზუმის ხელნაწერები მცხეთის ჯვართან**

- მიმართებაში [(A) კოლექცია №№ 160, 170, 176], ციცინო ჩაჩეუნაშვილი**

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული, ყოფილი საეკლსიო მუზუმის (A) კოლექციის №№ 160, 170 და 176 ხელნაწერები მოიცავს ზედაზნის მონასტრის წინამდღვართა ნუსხას შემდეგი სათაურით – „სახელები წმიდათა მათ მამათა, ქრისტეს მიერ აღსრულებულთა ზედაძენს შინა შემდგომად იოანესსა“. ნუსხას ახლავს წინამდღვრთა ზეობის წლები და მათი მოღვაწეობის ამსახველი მცირე განმარტებები. საკელევ თემასთან დაკავშირებით განსაკუთრებით საყურადღებოა №160 ხელნაწერის შემდეგი ჩანართი: “ამბა ვაჲმან, რომელმან გზასა მისვლასა მისსა უამი შეიწირა ქუემო ზადენით შინამდე – ლე წელ“. იმავე ამბავს №№ 170,176 ხელნაწერები შემდეგი სახით გადმოგვცემს: ამბა ვაჲმანმა უამი შეიწირა „ქუემო ზადენით“. აღნიშნულ ნუსხაში ამბა ვაჲმანი იოანე ზედაზნელის შემდეგ მეოთხე წინამდღვრადაა დასახელებული, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის მისი მოღვაწეობის სავარაუდო ხანაზე. ასურელ მამათა ქართლში მოსვლის თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობის და ნუსხაში მითოთებული ზედაზნის წინამდღვართა ზეობის წლების გათვალისწინებით ეს დაახლოებით VII საუკუნის პირველ ნახევარში ექცევა. საყურადღებოა ზემოაღნიშნული ნუსხების შემდეგი ჩანართი: „სამუელ დიდი, რომელმან ქმნა ქუაბი ჯუარისაი კპ წელ, ზედაძენს დაჯდა, მამავ იქმნა 3 წელ, მცხეთას კათალიკოსად დაჯდა ათოთხმეტ წელ.“ თემის დასკვნით ნაწილში წარმოდგენილია შემდეგი მოსაზრებები: 1. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყოფილი საეკლსიო მუზუმის (A) კოლექციის №№ 160, 170 და 176 ხელნაწერებში მოხსენიებული „ქუემო ზადენი“ მცხეთის წმ. ჯვრის მონასტერიდან და ცხადია, ორივე მონასტერს ერთი წინამდღვარი მართავდა. 2. ყოფილი საეკლსიო მუზუმის კოლექციაში დაცული ზედაზნის მონასტრის წინამდღვართა ნუსხაში მოხსენიებული „ქუაბი ჯუარისაი“, რომელიც სამოელ ქართლის კათალიკოსის ინიციატივით შეიქმნა, მცხეთის წმ. ჯვრის მონასტერში უნდა ვიგულისხმოთ. 3. საისტორიო წყაროში მოხსენიებული უნდა იყოს VIII ს-ის პირველ ნახევარში მოღვაწე ქართლის კათალიკოსი სამოელი. 4. „ქუაბი ჯუარისაი“ უნდა იყოს კრიპტა, რომელიც, ადგილის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მაღალი წრის ფენის წარმომადგენლების დასაკრძალად უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. 5. შესაძლოა, ეს იყო სინური ხელნაწერების მინაწერში მოხსენიებული დედოფალ ლატავრის განსასვენებელი, რომელიც იყო „... ასული სტეფანოზისი, დავ ადარნერსცსი, დედავ ბაგრატუნიანისავ და კუროპალატიანისავ ...“. 6. ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე ამჟამად არსებული გამოქვაბული დასაკრძალი კამერებიდან არც ერთი არ შეესაბამება ზედაზნის მონასტრის წინამდღვართა ნუსხაში მოხსენიებულ „ქუაბი ჯუარისაი“ ის.

- **საქართველოს ქრისტიანული არქიტექტურის ჩასახვის საწყისი ეტაპი, გიორგი ჭანიშვილი**

წარმოდგენილი ნაშრომი არის ნაწილი სადოქტორო შრომისა: „ქართული საეკლსიო არქიტექტურის წარმოშობისა და განვითარების საწყისი ეტაპის ისტორია წერილობითი და არქეოლოგიური წყაროების მიხედვით“. განხილულია

თუ როგორ მიმდინარეობდა საეკლესიო ნაგებობათა განვითარება რომის იმპერიაში ქრისტიანობის მიღებამდე და შემდეგ, მომდევნო ორ საუკუნეში. წარმოჩენილია საეკლესიო ნაგებობათა ფუნქციური განსხვავება და ამ ნაგებობათა გვიანანტიკური ხანის პროტოტიპები. ასევე ლიტურგიის განვითარება და ცვლილებები ამავე პერიოდში და ამ პროცესის გავლენა საეკლესიო ნაგებობათა გეგმარებაზე. აღწერილია საეკლესიო ნაგებობათა ტიპოლოგიისა და გეგმარების ძირითადი განსხვავებულობა რომის იმპერიის სხვადასხვა ნაწილებში. ნაშრომის მომდევნო ნაწილში აღწერილია ის ძირითადი გარემოებები რასაც გავლენა უნდა მოეხდინა საეკლესიო არქიტექტურის ჩამოყალიბების პროცესზე ქართლში. ყოველივე ამის გათვალისწინებით განხილულია ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები ქართლსა და ეგრისში პირველი ეკლესიების მშენებლობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს მეტ-ნაკლებად გავერკვეთ ამ ნაგებობათა ფუნქციასა და გეგმარებაში. განხილულია ამ ნაგებობათა დათარიღების პრობლემები და მეთოდოლოგია და ისტორიკოსთა, არქეოლოგთა და ხელოვნებათმცოდნეთა მოსაზრებები და დასკვნები ამ საკითხების შესახებ.

- **ზემო სვანეთის შვერილაფსიდია ეკლესიები, გიორგი პატაშური**

ნაშრომში განხილულდა ზემო სვანეთის შვერილაფსიდიანი ეკლესიების ტიპების განსაზღვრა და მათი დაჯგუფება, როგორც ქრონოლოგიური, ისე მხატვრული თავისებურებების მიხედვით. მოვახდინეთ მათი შედარება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სხვა მსგავსი ნაგებობებთა, რის შედეგადაც გამოიკვეთა სვანური ხუროთმოძრვების მსგავსება და თვითმყოფადობა.

### 13. შუა საუკუნეების ძვისა

#### და ლითონის ქანდაკება

- **საერო ხელისუფალთა მეუფების თემა შუა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრულ ქანდაკებაში, თამარ ხუნდაძე**

ნაშრომში განხილულია მცხეთის ჯვრის, ოპიზის, დოლისყანის, ტბეთის, კუმურდოს და ოშეის ტაძართა კედლებზე გამოკვეთილი საერო ხელისუფალთა სკულპტურული გამოსახულებები. რელიეფურ კომპოზიციათა თანმხლები წარწერების შინაარსის, ტაძარზე მათი განთავსების ადგილის, სამეფო პორტრეტების სხვა გამოსახულებებთან ერთად წარმოდენისა თუ სხვა დეტალების გაანალიზების საფუძველზე განსაზღვრულია თითოეული გამოსახულების აზრობრივი კონტექსტი.

განხილულმა მასალამ ნათლად აჩვენა რაოდენ მრავალფეროვანი ინტერპრეტაციით არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების ქართულ რელიეფურ ქანდაკებაში საერო ხელისუფალთა მეუფების იდეა, რომელსაც ლაიტმოტივად გახდებს სულის ხსნისა და მეოხების თემა.

• **გველდესის ქანკელის რელიეფები, თამარ დადიანი**

გველდესის ქანკელის ფრაგმენტები ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. გარდამავალი ხანით (IX ს.) დათარიღებული ძეგლი საქმაოდ იშვიათი და საინტერესო იქონოგრაფიითა და შესრულების თავისებური მანერით გამოირჩევა. პირველ ფილაზე წარმოდგენილია "ჯვარცმა" მენელსაცხებლე დედების ფიგურებით, მოციქულები და ფარშევანგები ჯვრის გამოსახულების ორსავე მხარეს, მეორე ფილაზე – ფარშევანგის ფიგურა დიდი წრეში ჩაწერილი რვაქიმიანი ვარსკვლავის გვერდით. "ჯვარცმის" კომპოზიციაში გაცხადებული მსხვერპლისა და ხსნის იდეა ხაზგასმულია "ქრისტეს აღდგომის" მოტივებით (მენელსაცხებლე დედები, ფარშევანგები). ეს თემა მეორე ფილაზე სიმბოლური სახით არის გამეორებული (ფარშევანგი წრეში ჩაწერილი რვაქიმიანი ვარსკვლავის წინაშე, რომელიც სემანტიკურად მარადიულობისა და განკითხვის დღის იდების გამომხატველია). მხატვრულ-სტილისტურად ქანკელი IX საუკუნით თარიღდება და ამ ეპოქისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს ატარებს – დაბალი რელიეფით შესრულებული სქემატიზირებული ფიგურები, გამოსახულებებით მჭიდროდ შევსებული ფონი, კომპოზიციათა ერთგვარი ასიმეტრიულობა გარდამავალი ეპოქის სხვა ძეგლებში პოვებს პარალელებს (წებელდის ქანკელი (VII-VIII ს.), უსანეოის სტელა (IX ს.) და სხვ.

• **შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების განვითარების ტენდენციები, ეპატერინე ეგაჭატაძე**

შუა საუკუნეების ქართულმა ქანდაკებამ მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზა განვლო. მისი სათავეები ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან (337 წ.) მალევე, V საუკუნეში, უკავ, მრავალი საინტერესო ნიმუშით აღინიშნება. ეკლესიათა ფასადების მონუმენტური სკულპტურის თუ მცირე პლასტიკის (ქვაჯვარები, ქანკელები, ტრაპეზები) პირველივე ძეგლები ქართული რელიეფური პლასტიკის ზოგადქრისტიანული თემატიკის, კომპოზიციათა და იკონოგრაფიული სქემების ცოდნას ცხადყოფს. ქართული სახელმწიფოს ვერდალური წესწყობილების გახანგრძლივებამ ხელი შეუწყო ქართული შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნების მრავალსაუკუნოვან, თანმიმდევრულ განვითარებას (XVIII საუკუნის ჩათვლით). რამაც, შესაბამისად, შუა საუკუნეების ქართული ქანდაკების სიცოცხლისუნარიანობა და ტრადიციის ხანგრძლივობაც განაპირობა. ამგვარად, ჩვენ შესაძლებლობა გვეძლოვა თვალი გავადევნოთ რელიეფური სკულპტურის, თითქმის, თეუთმეტსაუკუნოვან ქრონოლოგიური განვითარების, სტილთა და მხატვრულ ტენდენციათა ცვლის ისტორიას.

• **ქართული ისტორიული კოსტიუმი (IX-X საუკუნეების რელიეფური პორტრეტების მიხედვით), კიტი მაჩაბელი**

ნაშრომში განხილულია ქართულ არქიტექტურულ რელიეფებზე შემონახული საერო პორტრეტების კოსტიუმები ოპიზის, ტბეთის, კუმურდოს, ოშკის ტაძრებზე

შემონახული საქტიტორი პორტრეტების მიხედვით. ნაჩვენებია საქართველოს წვლილი შეა საუკუნეების კოსტიუმის საერთო ისტორიაში. ქართული ისტორიული კოსტიუმი განხილულია მის თანადროულ ბიზანტიურ კოსტიუმთან მიმართებაში. ნაშრომში კოსტიუმი წარმოდგენილია, როგორც ქვეყნის პოლიტიკური და სოციალური ისტორიის, ასევე საგარეო ორიენტაციის ამსახველი საბუთი. ნაშრომს ერთვის ისტორიული კოსტიუმების ფოტოები და სქემები.

- ქაიხოსრო ლალაშვილის შემოქმედება, თეიმურაზ საყვარელიძე**

გამოკვლევა ეხება XVII საუკუნის ოქრომჭედელ ქაიხოსრო ლალაშვილის შემოქმედებას. შემორჩენილია ოსტატის ოთხი ხელმოწერილია ხატი. ეს წარმოები გვიანი ხანის ჭედური ხელოვნების დაქვეითების აშკარა მაჩვენებელია.

- XII საუკუნის ქართული ოქრომჭედლობის ტენდენციები და თავისებურებები, ლილა ხუსკივაძე**

XII საუკუნის ქართული ჭედურობის ნაწარმოებებში ასახლია ამ დროის ძირითადი მხატვრული ტენდენცია – დეკორატიულობის გაძლიერება. ამასთანავე ყურადღებას იპყრობს XII ს-ის ტბეთის სახარების მოჭედილობაში გამოვლენილი ერთი თავისებურება, რომელმაც თავი იჩინა მის „ჯვარცმის“ კომპოზიციაში. ის ძირითადად მიჰყვება იმ ხაზს, რომელიც XII ს-ის კაცხის საწინამდვრო ჯვრის ანალოგიურ სცენაშია წარმოდგენილი. მაგრამ ტბეთის მოჭედილობაში კაცხის გამოსახულებათა ხაზის მოქნილობა უფრო განზრახ ხაზგასმულია, ხოლო გამოსახულებათა ემოციური განწყობა საგრძნობლად გაძლიერებულია, თუმცა ელეგანტურობა, უფრო ნატურალური არც მათ აკლიათ. ყოველივე ეს კი გარკვეულწილად მომაგონებს იმ „მანიერისტულ“ მანერას, რომელიც „კლასიკურ“ პერიოდს, მის უმაღლეს მიღწევებს მოჰყვება. ამ მხრივ ტბეთის ეს ჭედურობა აშკარად გამონაკლისია, ვინაიდან ქართულ ჭედურ ხელოვნებაში ამგვარი ტენდენცია არ განვითარებულა.

#### 14. შუა საშპუნების გედლის მხატვრობა

- ქოლაგირის მონასტრის მოხატულობანი, მარინე ბულია**

ქოლაგირის მოხატულობათა შესახებ (მხატვრობით შემქულია მთავარი ტაძარი და სატრაპეზო) არსებული სამეცნიერო ცოდნა არასრულია და საკმაოდ წინააღმდეგობრივი. მოხატულობათა სტილის თავისებურებებზე დაყრდნობით ა. ვოლსკაია მათ XIII საუკუნის დასასრულით ათარიღებს, ზ. სხირტლაძე კი

მრავალრიცხოვან პორტრეტულ გამოსახულებათა საფუძველზე XII - XIII საუკუნეთა მიჯნით. ამ ურთიერთსაპირისპირო მონაცემების გათვალისწინებით, ჩემი კვლევის მიზანი იყო სამონასტრო მოხატულობები შემქმნელა როგორც ისტორიული, ისე სტილურ-იკონოგრაფიული თვალსაზრისით და გამომევლინა ის ნიშნები, რომლებიც მათ აახლოვებს, ან აშორებს XII-XIII საუკუნეთა მიჯნისა თუ მოგვიანო ხანის მოხატულობებს. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქოლაგირის მონასტერი კოლონკელისძეთა საგვარეულო მონასტერს წარმოადგენდა, მთავარი ტაძრის ჩრდილოეთ სათავსში მათი საგვარეულოს წარმომადგენლები იყენებ გამოსახული, ხოლო თავად სათავსი საძვლეს ფუნქციას ასრულებდა. ქოლაგირის მოხატულობათა სტილი XIII ს-ს 20-იანი წლების შემდგომ – ვიდრე XIII ს-ს დასასრულამდე შექმნილ მოხატულობებს უახლოვდება. შესაბამისად, მათი შესრულების ხანადაც საგვარაუდოდ, დროის ეს მონაკვეთი უნდა მივიჩნიოთ.

- XIII-XIV საუკუნეების მეფეთა პორტრეტები**

(ხამწლიანი თემაზე /2011-2013/ მუშაობა დასრულებულია), **ქეთევან მიქელაძე** ნაშრომში განხილულია XIII-XIV საუკუნეების ქართველ მეფეთა (დავით ნარინის ორი პორტრეტი გელათის ღმრთისმშებლის ტაძრის სახრ-აღმ. ეგვტერში, დავით ნარინისა და დავით ულუს პორტრეტები რუისპირის წმ. შიოს ტაძარში, დემეტრე თავდადებულის პორტრეტი დავით-გარეჯის „ხარების“ ეკლესიაში, ბაგრატ V-ისა გელათის ღმრთისმშებლის ტაძრის კარიბჭეში და სხვ.) ფრესკული პორტრეტები. გამოვლენილია პორტრეტის იკონოგრაფიული რედაქციები და თავისებურებანი, დამკვეთის მიზნები და პორტრეტის დანიშნულება, პორტრეტის მიმართება ტაძრის მოხატულობის თეოლოგიურ პროგრამასთან; წინარე ხანის ისტორიულ პორტრეტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია XIII-XIV სს-ის „პორტრეტული ხელოვნების“ მხატვრულ-სტილური თავისებურებანი.

- იგის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა, ეკატერინე გედეგანიშვილი**

2012 წელს იკვის წმ.გიორგის ეკლესიაში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დროს დაზუსტდა ტაძრის მოხატულობის არაერთი დეტალი. სტილისტური ანალიზის საფუძველზე დაზუსტდა ძეგლის შესრულების თარიღი. მისი მოხატულობის პირველი ფენა არა XI - XII საუკუნეთა მიჯნას უნდა განეკუთვნებოდეს (ნ. ალადაშვილი), არამედ უფრო გვიან უნდა იყოს შექმნილი, მისი თარიღი უფრო XII საუკუნის შუა წლებისკენ გადაინაცვლებს, მაცხვარიშის მოხატულობის ახლო ხანასთან. დაზუსტდა დასავლეთ მკლავის მოხატულობის თარიღიც – მეორე ფენის მხატვრობის შესრულების პერიოდიც. ის არა XIII საუკუნის დამდეგს (ე. პრივალოვა, ნ. ალადაშვილი), არამედ XIII ს-ის შუა წლებს უნდა განეკუთვნებოდეს. სტილისტურად ეს მოხატულობა უფრო ლაშა გიორგის ეპოქასთანაა ახლოს, მაგ. ვარძიის ანანაურისა და დმანისის სიონის ჩრდილოეთ კედლის მოხატულობასთან. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა მოხატულობის იკონოგრაფიულ ანალიზს.

- ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთი კარიბჭის მოხატულობა, იუზა ხუსკივაძე

ნიკორწმინდის ტაძრის კარიბჭის მოხატულობა ამჟამად მხოლოდ ფრაგმენტულად არის შემორჩენილი (გაირჩევა სამად-სამი საუფლო სცენა და ქტიტორთა პორტრეტები). ხალხურს ნაზიარები მხატვრული შემოქმედება ზუსტად შეიძლება დათარიღდეს XVI საუკუნის პირველი ნახევრით.

- დავით გარეჯის უდაბნოს მონასტრის მოწამეთა ეკლესიის მოხატულობის იკონოგრაფიული თავისებურებანი, თინათინ ხოშტარია

გარეჯული მხატვრული სკოლის მრავალ იკონოგრაფიულ თავისებურებებს შორის ერთი რუსთავის მთავარ ბუბაქარისა და წმ. დავით გარეჯელის ცხოვრების ამსახველი ციკლია, რომელიც დავით გარეჯის უდაბნოს მოწამეთა ეკლესიის მოხატულობამ შემოგვინახა. მოწამეთას მოხატულობა გარეჯული იკონოგრაფიის თვითმყოფადობისა და მისი ეროვნულ-ნაციონალური ხასიათის მკაფიო მაგალითია. მოხატულობაში სამონასტრო წმინდანთა, მეუდაბნოეთა და ასკეტთა სიმრავლე, მათი საპატიო ადგილზე წარმოჩენა, ბერ-მონაზონთა წმინდა ლვაწლსა და ეკლესიის შუამავლობის იდეას წარმოაჩენს. წმ. დავითის ფიგურის გამოსახვა მთლიან პროგრამაში, მისი სიწმინდის ხაზგასმა და ლვთის მადლისმიერი ძალით წარმართი ბუბაქარის ხსნა, რომელიც შემდგომში თვით გახდა სამონასტრო კომპლექსის აღმშენებელი - მოღვაწე, წმინდანის ბერული ლვაწლის განდიდებაზე, სამონასტრო ცხოვრებისა და ასკეტიზმის ხოტბის შესხმაზე და, ამავე დროს დავით გარეჯის მონასტრის დაარსება-აშენების მფარველთა და მეოხთა განდიდებაზე მიუთითებს.

- გარძიის მთავარი ტაძრის სტოას მოხატულობის იკონოგრაფიული, პროგრამა, ანა კლდიაშვილი

გარძიის მთავარი ტაძრის სტოას მოხატულობა აზრობრივად დაკავშირებულია თავად მთავარი ტაძრის მოხატულობასთან და ერთიან ანსამბლს ქმნის. სტოაში წარმოდგენილი ვედრება (აღმოსავლეთის მხარეს) და განკითხვის დღის ვრცელი რედაქცია, რომელიც სტოას დასავლეთ და აღმოსავლეთ კედლებზე იშლება, კამარაზე გამოსახულ ჯვრის ამაღლებასა და წმ. სტეფანეს ცხოვრების რამდენიმე სცენასთან ერთად მეტად თავისებურ იკონოგრაფიულ პროგრამას ქმნის.

- ჯაყელების მოხატულობათა ინტერპრეტაციისათვის, მზია ჯანჯალია

ნაშრომში წარმოდგენილია ახალი მონაცემები ჭულესა და საფარის (წმ. საბა, ღვთისმშობელი) მოხატულობათა ფენების შესახებ. განხილულია მოხატულობებთან დაკავშირებული რიგი საკითხები - ჯაყელთა ეკლესიების მოხატვის ეტაპები და დრო, მოხატულობათა მხატვრული წრე, მოხატულობათა ადგილი ქართული კედლის მხატვრობის ისტორიაში, მოხატულობათა მნიშვნელობა შუა საუკუნეების ქართული კულტურის ისტორიის კვლევისათვის.

## 1.4. შუა საშპრენების ხელნაწერთა

### დასურათება

- ისლამური ხელოვნების ტენდენციები ქართველ მეფეთა მიერ გაცემულ მხატვრულად გაფორმებულ დოკუმენტაციაში (XVI-XVIII სს), ეთერა ედიშერაშვილი

XVI-XVIII საუკუნეების საბუთების უმრავლესობა წყალობისა და შეწირულობის სიგელებია და ისინი გაცემულია მეფეთა მიერ დიდებულების, ტაძრების თუ კურძო პირებისადმი. მათი ერთი ჯგუფი მხატვრობითაა შემკული, მეორე ნაწილს კი მხოლოდ ცალკეული დეკორატიული ელემენტები ამკობს. ეპოქაში, რომელსაც საბუთები მიეკუთვნება, ისლამი მძღავრად იჭრება ქართულ კულტურაში, ხოლო მკაფიო ანაბეჭდს კი ხელნაწერი წიგნის გაფორმებაზე ტოვებს. სიგელებში სპარსული ხელოვნების გავლენა XVI საუკუნიდან ჩნდება და განსაკუთრებით თვალსაჩინო XVI-XVII სს-შია. ამ მხრივ გამორჩეული ალექსანდრე მეფისა და როსტომ მეფის სიგელებია. თუმცა, საგულისხმოა, რომ აღმოსავლური ხელოვნების გავლენები გარკვეულწილად თავს იჩენს XVIII საუკუნეშიც (შაჰნავაზ მეფის სიგელი), როდესაც ქართულ კულტურაში ასევე ძლიერად შემოდის უკვე სრულიად განსხვავებული დასავლური ილუზიონიზმი. ქართული და აღმოსავლური (უმეტესად სპარსული) მასალის მჭიდრო კავშირის (საბუთის სტრუქტურა, ფერადოვნება, ორნამენტული მოტივები და სხვა) მიუხედავად, თვალსაჩინოა განსხვავებანიც. ქართული სიგელების მხატვრობა ერთგვარი სისადავით და თავშეკავებულობით გამოირჩევა, ჩვენი ოსტატები დოკუმენტის გასაფორმებლად მხოლოდ ძირითად ელემენტებს იყენებენ (თავსართი, ჩარჩო, ინიციალი), რაც განასხვავებს მათ მცენარეული ორნამენტებით უხვად მოჩითული, დატვირთული, ხალიჩისებურად გაფორმებული სპარსული მასალისგან.

- ირანული ხელოვნების გავლენები ქართულ საკულტო ხელნაწერებში (XVII-XVIII სს.), ნინო ციციშვილი

ისლამური აღმოსავლეთიდან შემოსულ-გათავისებული მხატვრულ-დეკორატიული ელემენტები, საერო ნიმუშების გარდა, მათ თანადროულ ქართულ რელიგიურ ხელნაწერებშიც იჩენს თავს. საკულტო ხელნაწერები, რომლებიც ირანოსმალური სამინიატურო ხელოვნების გავლენების კვალს ატარებს, საკმაოდ

ფართო ქრონილოგიურ არეალში ექცევა – XV ს-ის დასასრულიდან მოყოლებული XIX ს-ის ჩათვლით. ისლამური აღმოსავლეთი თავს, უმეტესწილად, ორნამენტულ გაფორმებასა და დეკორატიულ ელემენტებში იჩენს. ესენია მცენარეული ორნამენტით შემკული და უნვანს მიმსგავსებული თავსართები, რომელთა ორნამენტული სახეები, კომპოზიციური განლაგება და კოლორიტული გადაწყვეტა თანადროულ ირან-ოსმალურ სამინიატურო ხელოვნებასთან ამჟღავნებს მჭიდრო კავშირს. ამ ყოველივეს XVII ს-დან მოყოლებული ემატება ფერადხაზოვანი ჩარჩო (ასევე მეტად გავრცელებული სპარსული წიგნის მხატვრობაში), რომელიც შემოსაზღვრავს ტექსტსაც და მინიატურასაც. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ირანული ხელოვნებიდან შეთვისებულ-გათავისებული ფორმები აქტუალობას ინარჩუნებენ მაშინაც კი, როდესაც პოლიტიკურ თუ კულტურულ სარბიელზე ევროპა და რუსეთი ჩნდებიან. XVII ს-ის II ნახევრიდან მოყოლებული, განსაკუთრებით კი XVIII ს-ის ნიმუშებში „ევროპეიზმის“ ნიშნით აღბეჭდილი სიუჟეტური გამოსახულებების გვერდით უკვე ტრადიციად ქცეული აღმოსავლური ორნამენტულ-დეკორატიული ფორმები თანაარსებობენ. დასავლეთისა და აღმოსავლეთის „შერწყმის“ ამგვარი ფაქტი, ამ პერიოდის ისტორიულ-კულტურული ფონის გათვალისწინებით, სწორედ რელიგიური დანიშნულების ხელნაწერებშია მეტად საგულისხმო. მეტიც, ისლამური ხელოვნებიდან შეთვისებული მხატვრული ფორმები იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა რომ მისდამი ერთგულება XIX საუკუნესაც, სწორედა.

## 1.6. პატრონაჲი, პულტი

### და ხელობრება

- შუა საუკუნეების საქართველოში ხატის თაყვანისცემის პრაქტიკის ერთი ასპექტი, ნინო ჭიჭინაძე**

ნაშრომში განხილულია ხატის თაყვანისცემის თავისებური ფორმა – ძვირფასი ქსოვილით გამშვენიერება. ხატები, რომელთა ზურგითი მხარე დაფარულია ძვირფასი ორნამენტირებული ქსოვილით საგანგებო ინტერარეტაციასა და კონტექსტუალიზაციას მოითხოვს. კვლევაში გამახვილებულია ყურადღება აღნიშნული ტრადიციის რაობასა და ტექსტილის დეკორის ესთეტიკურ-სიმბოლურ და რიტუალურ მნიშვნელობაზე. საფიქრებელია, რომ ამგვარი პრაქტიკა წარმოაჩენს მართლმადიდბლური ხატის კავშირს რელიკვიებთან,

რადგანაც, როგორც ცნობილია, ქრისტიანული წმინდა ნაწილების ძვირფას, ხშირ შემთხვევაში კონსტანტინეპოლის წამოშობის ქსოვილით შებურვა ფართოდ დამკვიდრებული წესი იყო, რისი მრავალრიცხოვანი მტკიცება დას. ეპროპის კათედრალთა და მონასტერთა საგანმურებელი მოიპოვება.

- **სიტყვიერ და ხილულ სახისმეტყველებათა მიმართებისათვის, ასმათ ოქროპირიძე**

ნაშრომი ეძღვნება შეა საუკუნეების ქრისტიანული ჯულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს. კონკრეტული მაგალითების მოხმობით ნაჩვენებია კავშირი სიტყვიერ და ხილულ სახისმეტყველებათა შორის და განხილულია მათი ურთიერთმიმართების ესთეტიკური და იდეური მხარეები.

## 17. ახალი და თანამედროვე სახვითი

### ხელოვნების განვითარების გზა

- **ქართული საბავშვო წიგნის მხატვრობა, (თემა გარდამავალია), მარიამ გაჩეჩილაძე**

საბავშვო წიგნის მხატვრობას XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი და მისი განვითარების დასაწყისი თვითნასწავლი მხატვარი-გრაფიკოსის გრიგოლ ტატიშვილის სახელს უკავშირდება. ამ ეტაპზე მოგროვდა და დამუშავდა ის წიგნები, რაც ამ მხატვრის მიერ იქნა შესრულებული. შეიგსო სხვა დამატებითი მასალებიც. მოძიებული იქნა XX საუკუნის დასაწყისში გაფორმებული საბავშვო წიგნები და უურნალები.

- **ავტოპორტრეტი ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში, ცისია კილაძე**

ავტოპორტრეტი ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო, კონცეპტუალური და კრებითი ჟანრია. XIX ს-მდე ჩვენი მხატვრობისთვის დამახასიათებელი სამყაროს შუასაუკუნეობრივი ხედვის, თვითგამოხატვისა და ინდივიდუალიზმისგან დაშორებული მსოფლხედველობის გამო ავტოპორტრეტმა განვითარება ვერ ჰპოვა და სწორედ მოდერნიზმის – „სიახლის“ ეპოქაში ჩნდება როგორც უკიდურესად მძაფრი გამოხატულება ინდივიდუალიზმისა, მხატვრის მსოფლაღქმისა და მისი დამოკიდებულების როგორც საკუარი თავისადმი, ისე სამყაროსადმი. ნაშრომში მოცემულია ქართველ მხატვართა ავტოპორტრეტების

სტილისტური ანალიზი თანადროული ევროპული მხატვრობის კონტექტში. ცნობილი ქართველი მხატვრების (შ. ქიქოძე, ლ. გუდიაშვილი, ვ. სიდამონ-ერისთავი, დ. კაკაბაძე და სხვა) ავტოპორტრეტები განხილულია პარალელურ მასალასთან – დასავლეთ ევროპულ და რუსულ მხატვრობასთან მიმართებით. წარმოჩინილია ქართული მოდერნისტული მხატვრობის ინდივიდუალობა, ეროვნული ფორმათშეგრძნების ნიშნები და მისი მიმართება ევროპული მხატვრობის თანადროულ ტენდენციებთან.

- **ძირითადი ტენდენციები ქართულ პეიზაჟურ გრაფიკაში (1920-ანი წწ. ბოლოდან 1930-ან წწ.), მარინე მემარიაშვილი**

ნაშრომში განხილულია ის ცვლილებები და ძირითადი ტენდენციები, რომლებიც ამ პერიოდის ქართულ გრაფიკას ახასიათებს. 1920-1930-ანი წწ. მიჯნაზე ქართულ სახვით ხელოვნებაში ახალი ეტაპი დაიწყო. ამ დროს სახელწიფო აქტიურად ერევა კულტურის და ხელოვნების დარგში და ნერგავს ე.წ. სოციალისტური რეალიზმის მეთოდს. დოკუმენტული და ვიზუალირი მასალის შესწავლის საფუძველზე გამოვლინდა, რომ პოლიტიკური და სოციალური ცვლილებების ფონზე ხელოვნებიდან თითქმის სრულად იქნა განდევნილი 1920-ან წწ.მრავალფეროვანი აგანგარდული მიმდინარეობები და ქართულ სახვით ხელოვნებაში სოცრეალიზმს უკავია ძირითადი პოზიციები.ამ მეთოდის სათანადოდ ქართული პეიზაჟის დარგში აისახა ახალი წყობის და ცხოვრების ოქმები - ინდუსტრიული ხედები, ჩაის პლატაციები და საკოლმეურნეო მინდვრები, ქალაქის მშენებლობები და აშ. სახელმწიფოს ამ დროს, კონტროლის დამყარებისა და ძალაუფლების გაძლიერებისათვის, ესაჭიროებოდა შემოქმედებითი ძალების გაერთიანება გაბატონებული იდეოლოგიის ირგვლივ. ამ მიზნით საქართველოში დაშალეს რამდენიმე მხატვრული გაერთიანება და 1933 წელს ჩამოაყალიბეს „საქართველოს მხატვართა კავშირი“. 1930-იან წწ. გრაფიკის დარგში მოღვაწეობას აგრძელებენ უფროსი თაობის მხატვრები: დ. კაკაბაძე, დ. გველესიანი, ე. ლანსერე, ვ. ბებუთოვა-გაბუნია და სხვანი და ამავე დროს პეიზაჟის ჟანრს მიმართავენ სამხატვრო აკადემიის სტუდენტები და კურსდამთავრებულნიც: დ. ქუთათელაძე, შ. მამალაძე, ნ. ჩერნიშვილი, კ. კვევესი და სხვანი. მიუხედავად იმისა, რომ ხელოვნების სფეროში ადმინისტრაციული გზით დანერგილი ნორმები და მეთოდები უარყოფითად მოქმედებდნენ სახვითი ხელოვნების განვითარებაზე, ქართულ გრაფიკაში მნიშვნელოვან მიღწევებსაც ჰქონდა ადგილი - ამ დროს განვითარდა ოფორტის ტექნიკა, ლინოგრავიურა, ქსილოგრაფია, ლითოგრაფია...ნაშრომში განხილულია ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი პეიზაჟის ჟანრის სხვადასხვა განხერის ნაწარმოებები: ურბანული პეიზაჟი, ინდუსტრიული პეიზაჟი, სოფლის მეურნეობის ამსახველი ხედები და სხვა. ნაშრომს ერთვის საილუსტრაციო მასალა.

- **ქართული მოდერნიზმის უცნობი მხატვრები (ქართული მხატვრობა 1870-1930 წწ.) (თემა გარდამავალია), მაია ციციშვილი**

წლიური თემა მიეძღვნა დღეისათვის სრულიად უცნობი და ნაკლებად ცნობილი მხატვრების შემოქმედების შეძლებისდაგვარად ამომწურავად შესწავლას და მათი ადგილისა და მნიშვნელობის განსაზღვრას ქართულ მოდერნისტულ მხატვრობაში. ამ მხატვართა რიგს განეკუთვნებიან: დავით ქუთათელაძე, დავით წერეთელი, სერაპიონ ვაწაძე, ალექსანდრე შერვაშიძე, მიხეილ შავიშვილი, მიხეილ ბილანიშვილი, შალვა ძელაძე, შალვა მამალაძე, მიხეილ გოცირიძე, მიხეილ ჭიაურელი, ირაკლი თოიძე, სევერიან მაისაშვილი, ნინო წერეთელი და სხვ. ამოცანები: მასალის შეგროვება, გადარჩევა და ფოტოფიქსაცია კერძო კოლექციებსა და მუზეუმებში – ნაწილობრივ შესრულებულია; ბიბლიოგრაფიის დამუშავება – ნაწილობრივ შესრულებულია; კვლევა და სტილისტური ანალიზი; შედარება ევროპული და რუსული მოდერნისტული და ავანგარდული მიმდინარეობების წარმომადგენლებთან.

- **XX ს-ის დასაწყისის ქართული ხელოვნება დასავლეთის მოდერნულ ხელოვნებასთან მიმართებაში, (თუმა გარდამავალია), თეატრაბაძე**

საკვლევი თემა ზოგადი ასპექტით XX საუკუნის დასაწყისის ქართული ხელოვნების დასავლეთის მოდერნულ ხელოვნებასთან მიმართების საკითხს ეხება. უფრო კონკრეტულად, მისი მიზანია, გამოიკვლიოს ამ პერიოდის ქართული ხელოვნების, კერძოდ, ავტოპორტრეტებისა და ურბანულ თემებზე შესრულებული ნამუშევრების მხატვრული ფორმისა და შინა-არსის, მათში გამოვლენილი მხატვრის მსოფლგანცდის თავისებურებები (ანუ, როგორია მოდერნული გარემოსა და მოდერნული დროის მიმართ მხატვრის თვითრეფლექსია) და განიხილოს ისინი ზოგად ევროპულ მოდერნულ დისკურსთან მიმართებით. ავტოპორტრეტი, განსაკუთრებით მოდერნულ ხელოვნებაში, ყველაზე უფრო მძაფრად ავლენს მხატვრის, როგორც პიროვნების თვითგანცდას, თვითმოაზრებას მოდერნულ დროში. ურბანული თემა კი ასევე ყველაზე მეტი პირდაპირობით ასახავს იმას, თუ როგორ განიცდება მოდერნული გარემო მოდერნისტის მიერ, როგორია მისი დამოკიდებულება თანამედროვეობის მიმართ. ამ ორივე თემას საერთო - მსოფლგანცდითი ასპექტი აერთიანებს. კვლევის საბოლოო მიზანი სწორედ ამ ასპექტის წარმოჩენაა, ანუ, იმის განსაზღვრა, თუ მოდერნულობის როგორ პარადიგმულ მოდელს ქმნის ქართული ხელოვნება XX საუკუნის დასაწყისში, რა თავისებურებები ახასიათებს მას და როგორია ამ თვალსაზრისით მისი მიმართება დასავლურთან. შენიშვნა: მუშაობის პროცესში თემასთან მიმართებით გამოვლინდა დამატებითი ასპექტის გამოკვეთის საჭიროება. იგი ქართულ მოდერნისტულ ხელოვნებაში პეტაჟის, როგორც ჟანრის თავისებურებებს ეხება. რამაც შეცვალა თემის თავდაპირველი სრუქტურა, სხვაგარად დაისვა და გადანაწილდა აქცენტები; შესაბამისად გაიზარდა კვლევის გადა.

- **არ-დეკოს რეგიონალური გარიანტი, (გარდამავალია თუმა), ნანა მირცხულავა**

XX საუკუნის ხელოვნების უკანასკნელი შემაკავშირებელი სტილი „არ-დეკო“ სრულიად განსხვავებულ მიმდინარეობებს მიკუთვნებულ მსოფლიოს საუკეთესო ხელოვანთა შემოქმედებებში განხორციელდა (ავანგარდული მხატვრობის მიმდევრები ჭარბობს). კვლევა მოწმობს, რომ მათ რიგებს საქართველოში

მოღვაწე ზოგიერთი ხელოვანიც უნდა მიუერთდეს. თანამედროვე ქართული სახვითი ენის სრულყოფის, ეპროპული მხატვრული კულტურის მოძრაობის საერთო მიმართულების ამოცნობის პროცესში მათ ხევადასხვა გზებს მიმართეს. სწორედ კვლევას მივყავართ არ-დეკოს ხელზე შეჩერებასთან, რადგან იმის უარყოფა რომ არ-დეკომ გავლენა მოახდინა გარკვეულ მხატვართა შემოქმედებაზე არ შეიძლება, ისევე როგორც არ შეიძლება მათი დაკავშირება რაიმე ერთ მიმართულებასთან.

- **ალექსანდრე როინაშვილი - პირველი ქართველი ფოტოგრაფი,**  
**გიორგი პაპაშვილი**

გამოკვლევა ეხება პირველი ქართველი ფოტოგრაფის, ალექსანდრე როინაშვილის (1846-1898) ცხოვრებასა და შემოქმედებას, გარემოს, სადაც მას მოუხდა მოღვაწეობა. აგრეთვე - ფოტოგრაფის მემკვიდრეობასა და მის რთულ ბედს: თემატიკას, კოლექციებს, კულტურულ დირებულებასა და სურათების იდენტიფიკაციის პრობლემებს.

- **დაგით კაკაბაძე და ქართული ხუროთმოძღვრული ტრადიცია,**  
**სამსონ ლევაგა**

ნაშრომში განიხილება დ. კაკაბაძის ხელოვნების მიმართება ტრადიციულ ხუროთმოძღვრულებასთან რამდენიმე ასპექტით. ერთი მხრივ, გაანალიზებულია დ. კაკაბაძე – მკვლევარის მიმართება ძველ ძეგლებთან – მაგ. საეკლესიო ხუროთმოძღვრულებასთან; ამასთანავე, ძირითადი ყურადღება ეთმობა იმის ანალიზს, თუ რა რიგი სახეცვლილება განიცადა დ. კაკაბაძესთან ტრადიციულმა ფორმებმა ხუროთმოძღვრებისა – განიხილება, თუ რა როლი შეასრულა კოლხურმა ოდა-სახლმა მისი ავანგარდისტული ექსპერიმენტების ფორმათქმის პრინციპებში, და ასევე, რა კავშირი აქვს ამ ნაგებობას „იმერული პეიზაჟის“ სტრუქტურის ჩამოყალიბებასთან. გარდა ამისა, განიხილება ისიც, თუ რა ტიპის „ხუროთმოძღვრული“ აზროვნება ჩანს მის საოეატრო სცენოგრაფიაში, და რა ხვედრითი წილი აქვს მის ამ „სამყაროში“ კვლავ და კვლავ, ტრადიციულ ფორმებს, რომელთაც (მაგ. საეკლესიო არქიტექტურის მორთულობის პრინციპებმა) შესაძლოა, თავისი კვალი დაატყო თუნდაც ამ დიდი ოსტატის კოლაჟებს. იკვეთება აზრი, რომ დავითი, როგორც უნივერსალი, საკუთარ თავში იკრებს მკვლევარს, მხატვარს, ტრადიციათა ახლებურად გამაცოცხლებელ შემოქმედს, რომელიც თითქოსდა მარტო (თუმცა თანამდგომ რეჟისორთა – მაგ. პ. მარჯანიშვილის) წყალობით, საკუთარ თავშივე ატარებს „ქართული ბაჟაუზის“ მსგავს „ძიებებს“ – როგორც „მხატვარ-დიზაინერი“, სცენოგრაფი და „კონცეპტუალური“ მიღებობის მატარებელი პიროვნება.

- **1940-50-იანი წლების ქართული და ამერიკული ხელოვნება**  
**(თემა გარდამავალია), მზია ჩიხრაძე**

გამოკვლევის მიზანია, შეისწავლოს თანამედროვე ქართული და ამერიკული ხელოვნება და მათი ტენდენციები 1940-50-იან წლებში. ანუ, იმ მნიშვნელოვან პერიოდში, როცა ორივე ქვეყნის ხელოვნების ისტორიაში, ამ სრულიად განსხვავებული ისტორიისა და ბედის მქონე ქვეყნებში, მსგავსი მხატვრული პროცესები მიმდინარეობდა. კერძოდ, ამერიკაში მხატვართა ერთი ჯგუფი, ე.წ. ნიუ იორკის სკოლის წარმომადგენლები უარს ამბობენ ნატურალისტურ, ფიგურატიულ ხელოვნებაზე და მიმართულებას აბსტრაქტული მხატვრობისკენ იღებენ. მაშინ როცა საქართველოში ე.წ. ორმოცდაათიანელები სოციალისტური რელიზმის ფარგლებში ცდილობენ ფერწერის ახალი გზა მოძებნონ და შესაბამისად, მათი ხელოვნებაც მთელს საბჭოთა კავშირში და კერძოდ, საქართველოში, 1920-იანი წლებიდან საბჭოთა სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული და საყოველთაოდ მიღებული ხელოვნების სისტემიდან გადაუხვევს უფრო ფერწერული, უფრო აბსტრაქტული მხატვრობისაკენ. ქართველ თანამედროვე მხატვართა ეს თაობა ცდილობს ხელოვნების ლოგიკური განვითარების გზას დაუბრუნდნენ, გზას, რომელიც ხელოვნურად იქნა შეწყვეტილი იმავე 1920-იან წლებში სახელმწიფოს პოლიტიკური დიქტატის გამო. ე.წ. 1950-იანელები ცდილობენ აშკრად გამოავლინონ ფერწერის მხატვრული საშუალებები და ალაპარაკდნენ ხელოვნების სპეციფიკის ენაზე. ნაშრომში შევისწავლი ობიექტურ და სუბიექტურ, პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ მიზეზებს და თეორიულ საფუძვლებს, რომლებმაც განსაზღვრეს ზემოთ აღნიშნული მხატვრული ცვლილებები, როგორც ამერიკულ, ისე ქართულ ხელოვნებაში. კვლევა შექმნის საფუძველს თანამედროვე ქართული ხელოვნების განვითარების გზისა და მიმართულების განსაზღვრისათვის. ამ ნაშრომში მოხდება ქართული თანამედროვე ხელოვნების ადგილისა და როლის დეფინიცია გლობალურ დასავლურ მხატვრულ სივრცეში და საგარაუდოდ, წარმოგვიდგენს ქართულ ხელოვნებას, როგორც მსოფლიო თანამედროვე ხელოვნების ინტეგრალურ, განუყოფელ ნაწილს. საბოლოოდ კი გვიჩვენებს ხელოვნების განვითარების შინაგან ლოგიკას და ამ ლოგიკაზე დაფუძნებულ ისტორიულ მხატვრულ პროცესებს, რომელთაც განსაზღვრეს ქართულ და ამერიკულ ხელოვნებაში თანამედროვე მხატვრობის განვითარების გზა და დღევანდელი მდგრმარეობა.

- ქართული მხატვრობა პოსტსაბჭოთა ეპოქაში, (თემა გარდამავალია)**

### **ნინო ჭოლოშვილი**

გამოკვლევაში მიმოიხილება ქართული მხატვრობა 1980-იანი წლებიდან 2000 წლამდე – გამოიკვეთება ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე აქტუალური, მხატვრული პროცესები საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდსა და მომდევნო ათწლეულში.

- რელიგიური თემატიკა მერაბ აბრამიშვილის შემოქმედებაში,**

## **ნათია ებანოიძე**

1980-იანი წლები ერთ-ერთი საკვანძო ეტაპია ქართული ხელოვნების ისტორიისათვის. ამ პერიოდში ქვეყანაში მომხდარ ისტორიულ და სოციალურ ცვლილებებს მოჰყვა ხელოვნების სფეროში შესამჩნევი გარდატექნიკი. არსებული სინამდვილე მიუღებელი ხდება ხელოვანთა გარკვეული ნაწილისათვის და ისინი ირჩევენ სრულიად განსხვავებულ ორიენტირებს, რომლებიც მიმართულია საკუთარი ქვეყნის წარსულისაკენ, მასში დირექტულისა და საინტერესოს მოძიების, ამ საფუძველზე ახლის შექმნის მიზნით. ამ მხატვართა შემოქმედების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ასპექტი რელიგიური თემა ხდება. ყოველი მათგანის გზა ახალი ორიენტირებისა და პერსპექტივების ამ ძიებებისას განსხვავებული და ორიგინალურია. ერთერთ ინდივიდუალურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს ამ თაობის წარმომადგენლის - მერაბ აბრამიშვილის შემოქმედება და კერძოდ, მისი რელიგიურ თემაზე შექმნილი ნამუშევრები. მის ტილოებზე სამყაროს არქაული ძირებიდან ქრისტიანობამდე, საპარსული მინიატურებიდან ინდურ მანდალამდე, უზღვავი ვიზუალური და კონცეფტუალური ინფორმაცია იკითხება. შესაბამისად, რელიგიური თემატიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქრისტიანული სარწმუნოების საზღვრებით და თვითონ რელიგიურობის ასპექტიც არაერთმნიშვნელოვნად წარმოდგება. კვლევის მიზანია აჩვენოს აბრამიშვილის მხატვრული სამყაროს უარსებითესი ნიშნის, მისი ფორმალური და საზრისობრივი განმსაზღვრელის - რელიგიური ასპექტის ბუნება; განიხილოს მხატვრის ვიზუალური მეტყველება, როგორც შესატყვისი ფორმა აღნიშნული თემატიკისათვის და წარმოაჩინოს ამ ფერწერის მიმართება შუა საუკუნეების მონუმეტურ კედლის მხატვრობასთან.

### **• მხატვარი-გრაფიკის გურანდა ქლიბაძე, მარიან ოკლეი**

წლიური თემის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საზოგადოებისათვის ახალი სახელის წარდგენა. ეს გახდავთ გურანდა ქლიბაძე რომლის ნამუშევრების ნახვა დიდი შთაბეჭდილებას ახდინს მნახველზე. მისი ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, მომნუსხველია შესრულების ოსტატობით, შემოქმედებისადმი სიღრმისეული დამოკიდებულებით, აზროვნების, მოვლენების შეფასების მისეული, განუმეორებელი გადმოცემის უნარით. მხატვრის შემოქმედებაში ერთმანეთთან შერწყმულია აკადემიურობა და თანამედროვე ხელოვანის მახვილი თვალი, თითქოს შინაარსობრივად ადვილად გასაგები მხატვრული ფორმა და მისი დრმა ემოციურ-ფსიქოლოგიური გააზრება, ხილული ფორმის კონკრეტულობა დაკავშირებულია სათქმელის სახე-ნიშნებით გადმოცემასთან. მონუმენტალიზმი და ლირიზმი, ერთგვარი ირონია და ტკივილი, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ეს არის მხოლოდ მისი სამყარო, მისი თვალით დანახული და განცდილი, რაც საბოლოოდ მწვავე ცხოვრებისეულ მოვლენების მისსავე შეფასებაშია გამოხატული. იგი მუშაობს გრაფიკული ხელოვნების ჩვენთან ნაკლებად გავრცელებული განხრით - მინაზე ხატვა. ეს არის მონოტიპის

ტექნიკით შესრულებული გრაფიკული სურათები. კეთდება მხოლოდ ერთი ანაბეჭდი და ქაღალდზე ავტორისეული ხელწერაა დაფიქსირებული. მხატვარი თამამად, გულდიად აფიქსირებს თავის პოზიციას და იგივე მოთხოვნას უყენებს მაყურებელს, შესაბამისად, მნახველი აქტიურად ჩართულია ნამუშევრების იდეურ-აზრობრივ წაკითხვაში. მისი მთავარი თემაა – ადამიანი, გარეგნულად თითქოს შეუხედავი, რომლის უკან იფარება გრძნობები და განცდები. იგი ასევე ძალიან ახლოს მიდის გენდერულ პრობლემატიკასთან. გურანდა ქლიბაძემ აბსოლუტურად განუმეორებელი შემოქმედებითი სამყარო შექმნა. მასშტაბური, გამომსახულობითი, საგსე ცხოვრებისეული წინააღმდეგობებით, მისადმი გადმოცემული პროტესტით და საგსე სიყვარულით, გრძნობებით და განცდებით.

- **ტრადიცია და ნოვაცია, დალი ლებანიძე**

ნაშრომში გაგრძელდა გასულ წელს დაწყებული კვლევა, ქართული და დაღესტნური ოქრომჭედლობის ოსტატის მანაბა მაგომედოვას შემოქმედების შესახებ. მ. მაგომედოვას ნამუშევრებში საუკეთესოდ გამოჩნდა ქრისტიანული და მაკმადიანური (კერძოდ კუბაჩური) მოტივებისა, თუ კანონიკის შერწყმა. ამას თან ერთვოდა თანადორული ისტორიული გარემო. სოციალისტური რეალობის მოთხოვნები, რომელიც თემატიკასა და სიმბოლოთა გამოყენებაში იკითხება. არსებული მრავალფეროვანი ნიმუშები, რომელიც შემოქმედმა დაგვიტოვა წინააღმდეგობით აღსავსე სურათს ქმნის. მათში ხან კუბაჩური ტრადიციული ნივთებია სრულყოფილად წარმოდგენილი, ხან აღრეულია ქართული ოქრომჭედლობისათვის დამახასიათებელი ორნამენტისა თუ საგნების ფორმები. ასეთ დროს შეიმჩნევა გემოგნების დაქვეითება. უფრო მძიმე სურათს გხედავთ როცა მხატვარი-ექრომჭედელი სრულიად ახალ მოტივებს იყენებს. ასეთებია სადღესასწაულო ფიალები, ლანგრები, ჭაღები და სხვა. მ. მაგამედოვა წმინდა ქართულ ორნამენტსაც იყენებდა სამკაულებისა თუ სხვა ნივთების შექმნის დროს. ასეთი ნიმუშები უფრო მაღალ მხატვრულ ხედვას ავლენე. ერთი კი უდავოა, რომ მ. მაგამედოვა კუბაჩური კულტურის განუყოფელი ნაწილია და სხვა მოტივების შერევის დროს იგი ვერ ახერხებს საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული სტილის შენარჩუნებას.

- **სივრცის პრობლემა 1910-1920-იანი წლების ქართულ მოდერნიზმში,  
ნანა ყიფიანი**

თემა განიხილავს ქართულ მოდერნიზმსა და ავანგარდში სივრცითი აზროვნების თავისებურებას, რომელიც ათვალსაჩინოებს ზოგადად ქართული ეროვნული ესთეტიკური აზროვნების თავისებურებებს. ვიზუალური მასალა შედარებულია ამავე პერიოდის როგორც ევროპულ (გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ, იტალიურ), ისე რუსული მოდერნიზმისა და ავანგარდის მასალასთან. განხილულია და გაანალიზებულია შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა.

- სოცრეალიზმის ეტაპი ქართულ ხელოვნებაში და მისი დახასიათება (1930-იანი წლებიდან 1950-იანი წ.წ.-ის II ნახევრამდე), გიროგი ხოშტარია

პერიოდი 1930-იანი წლების დასაწყისიდან 1950-იანი წლების შუა ხანებამდე, წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს XX საუკუნის ქართულ მხატვრობაში და საზოგადოდ ვიზუალურ ხელოვნებაში, რაც განპირობებულია ტოტალიტარული წყობიდან მომდინარე ფსევდო-მხატვრული მეთოდით ე.წ. სოციალისტური რეალიზმით, რაც ფაქტიურად გულისხმობდა რეალიზმის მაგივრად ნატურალიზმს, ხოლო სოც-რეალიზმში „ლაპირებას“ და შელამაზებას. ამგვარმა მიღომაშ რომლის უკანაც იდგა სახელმწიფოს ძალადობრივი აპარატის დამდუპველი ზემოქმედება მოახდინა ისეთი მხატვრებზე როგორებიც არიან: დავიტ კაკაბაძე, დიმიტრი შევარდნაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახვლედიანი... რომ აღარაფერი ვთქვათ ახალ თაობაზე. მიუხედავად ამისა ჩვენ ვხედავთ ცოტა ფრთხილად, მაგრამ აშკარა, ხალასი ნიჭის გამოვლენას 1930-40-იანი წწ.-ის ფერწერაში: ა. ბაჯბეუქ-მელიქოვთან, ალექსანდრე ციმაკურიძესთან... 1940-იან წლებში ვ. შერპილოვთან. ეს მხატვრები ინახავენ ფერწერის კულტურის ტრადიციას, რაც გამოიხატება ენაზე ანუ ფერით შესრულებაზე და ა.შ. გრაფიკაში საკმაოდ მაღალ დონეს აღწევს წიგნის გაფიკა და ილუსტრირება – ს. ქობულაძე, ლ. გრიგოლია, ი. გაბაშვილი, დ. გაბაშვილი... საკმაოდ მაღალ დონეზეა თეატრალური მხატვრობა – პ. ოცხელი, ი. გამრეკელი, ს. ვირსალაძე... ქანდაკებაში მშვენიერ ნამუშევრებს ქმნიან ნ. კანდელაკი, გ. კორძახია. ამ პერიოდს ურთფერად ვერ „შევდებავთ“ და საჭიროა დიფერენცირებული მიღომა, რაც შემდგომ კვლევაში კიდევ უფრო მკაფიოდ გამოიკვეთება.

- ფიროსმანის ფენომენის კვლევა (თუმა გარდამავალია), ლიანა ანთელავა ნაშრომი ეძღვნება სამ ძირითად საკითხს: 1. ფიროსმანი როგორც დაზგური ფერწერის ქვაკუთხედი; 2. ფიროსმანის ფერწერა, როგორც ვიზუალური აზროვნების ფორმაში გამოვლენილი ქართული კულტურული პარადიგმები; 3. ფიროსმანის შემოქმედებაში გამუღავნებული ქართული კულტურული იდენტობები (ქართული კულტურის ესთეტიკური ასპექტი).

## 18. ქართული სცენოგრაფიაში არსებული დადაისტური ძიები, თამარ ბელაშვილი

- XXს.-ის პირველი ათწლეულების ქართულ სცენოგრაფიაში არსებული დადაისტური ძიები, თამარ ბელაშვილი

2013 წლის წლიური თემა გულისხმობდა XX ს-ის პირველი ათწლეულების ქართულ სცენოგრაფიაში არსებული დადაისტური ძიების შესწავლა-გამოკვლევას. ქართულ ხელოვნებაში ამ მხატვრული ტენდენციის უდაო არსებობის მიუხედავად მისი გავრცელების არეალი ძირითადად პოეზიით შემოიფარგლა. პრაქტიკულად არანაირი კვლევა იგივე მხატვრული ტენდენციის არსებობისა სახვით ხელოვნებაში ზოგადად და მით უფრო სცენოგრაფიაში აქამდე არ განხორციელებულა. მასალები განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა 2012 წლის წლიურ თემაზე მუშაობისას, რომელიც ქართულ თეატრში ექსპრესიონისტული და კუბო-ფუტურისტული ტენდენციების არსებობის კვლევას ეთმობოდა. აღნიშნულმა მასალამ ცხადყო, რომ პრობლემის საბოლოო, საფუძვლიანი შესწავლისათვის კიდევ სხვა, დამატებითი ფაქტორების კვლევა იყო საჭირო და სწორედ ასეთად იქცა დადაისტური ტენდენციები. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია კოტე მარჯანიშვილის რეჟისორობით განხორციელებული სპექტაკლისათვის „მალშტრემი“ კირილე ზდანევიჩისა და ირაკლი გამრეკელის მიერ ერთობლივად განხორციელებული თეატრალური მხატვრობა. ამ ნამუშევარში კი გამორჩეულად უნდა აღინიშნოს სპექტაკლის მეხუთე მოქმედება „დადაისტების მოედანი“. მოძიებული მასალა ცხადყოფს, XXს.-ის პირველი ათწლეულების ქართულ ხელოვნებაში ექსპრესიონისტული, კონსტრუქტივისტული, ფუტურისტული, კუბო-ფუტურისტული მხატვრული ტენდენციების კვალდაკვალ დადაისტური ძიებების არსებობას. ამ მხრივ ნიშანდობლივია ქართული სცენოგრაფია, რომელიც ზოგადად ქართულ ხელოვნებაში ჯერ ისევ დადაისტური ძიებების ერთადერთ მკაფიო მაგალითად რჩება.

- რეჟისორ მ. თუმანიშვილის მხატვართან მუშაობის სპეციფიკა (თემა გარდამავალია), ელენე თუმანიშვილი

წლიური თემისთვის დამუშავდა რეჟისორ მ. თუმანიშვილის პირადი არქივი. მიმდინარე წელს მოიძიებულ იქნა სათეატრო მხატვრობასთან დაკავშირებული ავტორის ცალკეული მოსაზრებები თუ რეჟისორის მხატვართან ერთობლივი მუშაობის ამსახველი მასალები.

## 19. ახალი არქიტექტურის განვითარების ისტორია

- არქიტექტორები ანტონ ფონ ბრაუნმიული და კონსტანტინე ლეონტიევი (ბიოგრაფია და შემოქმედებითი მოღვაწეობა), თამაზ გერსამია

შესწავლილია იქნა აქამდე თრი მნიშვნელოვანი არქიტექტორის – ანტონ ფონ ბრაუნმიულისა და კონსტანტინე ლეონტიევის ბიოგრაფიული მონაცემები და შემოქმედებითი დგაწლი.

ანტონ ფონ ბრაუნმიული - გერმანელი არქიტექტორი 1852 წ. მოიწვიეს სამუშაოდ თბილისში „სანიმუშო შენობების ასაგებად და არქიტექტურული ხელოვნების გავრცელებისათვის“. გერმანიაში იგი ცნობილი არქიტექტორია, რომლის შემოქმედებითი მოღვაწეობა მოიცავს ორ პერიოდს – მიუნხენისა და თბილისის. მის მიერ თბილისში შედგენილი პროექტები, მიუნხენის სამშენებლო სკოლის მსგავსი არქიტექტურული სასწავლებელის შექმნის იდეა, რომელიც იურიდიულად უკვე დაარსებულიც კი იყო. ა.ფონ ბრაუნმიული შეიძლება მივიჩნიოთ ჩვენთან პირველ პროფესიონალ არქიტექტორ-რესტავრატორად. ამასთან ერთად იგი გვევლინება იმ შემაგსებელ რგოლად, რომელიც აკაგშირებს ჯ.სკუდიერს, თ.ი.სიმონსონთან და ა.ზალცმანთან, რომლებმაც თბილისს მიანიჭეს ახლებური, უკეთ ეკროპული იერი. არქიტექტორი კლეონტიევი მიჩნეულია ზაჟესის პიდროსადგურის ერთ-ერთ ავტორად. ამ კომპლექსმა განსაკუთრებული როლი შეასრულა ახალი ქართული არქიტექტურის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე. აგრეთვე ცნობილია, რომ იგი თბილისში ყოფ. ტუბერკულიოზის დისპანსერის შენობის ავტორია (მელიქიშვილის, 10). მაგრამ, სხვა რაიმე ცნობები მის შესახებ არ მოგვეპოვებოდა. ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა უფრო სრულად გავეცნოთ, როგორც მის ბიოგრაფიას, ასევე მის შემოქმედებით მოღვაწეობას. იგი არის ავტორი ან თანაავტორი მრავალი პროექტისა, რომლებიც გამოირჩევა მაღალი პროფესიული ოსტატობით. ბევრი მათგანი აშენებული თბილისში, აგრეთვე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში. დიდ ინტერესს იწვევს მის მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლები თბილისში: მაყაშვილის ქ., 18, 22, გოგებაშვილის ქ., 11 და სხვ. 1904–15-იან წწ. იგი მუშაობდა მოღერნის სტილში, 1920–30-იან წწ. კი იყენებდა კონსტრუქტივიზმის პრინციპებს და ხერხებს. ამავე პერიოდს მიეკუთვნება მისი ცდები თანამედროვე არქიტექტურაში ეროვნული ხუროთმოძღვრული ელემენტებისა და ფორმების გამოყენებისა.

- ახოსპირელის ჩიხები და მათი მიმდებარე ტერიტორია (თუმა გარდამავალია), მათი მანია

გრძელდება მუშაობა ძველი თბილისის უძველეს ურბანულ მონაკვეთებზე - კვლევა მოიცავს აღნიშნული კვარტალის სამ ჩიხს და მათ შემადგენელ ცალკეულ ნაგებობებს და ითვალისწინებს ორგორც სხვადასხვა პერიოდის (XIX საუკუნის სხვადასხვა მონაკვეთები, XVI-XVIII სს. სარდაფები) ნაგებობების კვლევას არქიტექტურული თვალსაზრისით, ისე ურბანული ქსელის ანალიზს. ხდება დაკვირვება სეიდაბადის ურბანულ ქსელზე და მის შემადგენელ ცალკეულ ნაგებობებზე.

- ქალაქ თელავის ურბანული დირებულების შესახებ,  
ლალი ანდორნიკაშვილი

თემის ეს ნაწილი მოიცავს ჩემს მიერ 2007 წ. ქ. თელავში მემკვიდრეობის ინვენტარიზაციის პროცესში გამოკვლეული მასალის ანალიზს. თემა შედგება: 1. ქ. თელავის ისტორია, ლიტერატურა და საარქივო დოკუმენტაცია; 2. ურბანული ქსოვილის ანალიზი და მისი შედარება საარქივო ფოტომასალასთან; 3. 2011-2012წწ. ჩატარებული თელავის რეაბილიტაციის პროცესის ხარვეზების შესახებ, კერძოდ, ბატონის ციხის კომპლექსის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის ნგრევის შესახებ.

- ცირკი თბილისში: ისტორია და არქიტექტურა (1830-იანი წლები – 1921),  
მანონ ლილუაშვილი

საცირკო შენობები XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის განაშენიანების ორგანული ნაწილი იყო. სხვადასხვა დროს ქალაქში რამდენიმე ხისა თუ ქვის ცირკი არსებობდა, რომელთა არქიტექტურაშიც აისახა როგორც ამ თემის ზოგადი დამახასიათებელი ნიშნები, ისე ადგილობრივი სპეციფიკა. 2013 წელს შესრულდა კვლევითი სამუშაოს პირველი ნაწილი. მოძიებულია ვრცელი მემუარული, საგაზეთო და საარქივო მასალა, მათ შორის პროექტი ძმები ფიურერების ხის ცირკისა (1885, არქ. ა. მელქუმოვი), რომელიც აშენდა გოლოვინის პროსპექტზე, გვიანდელი „ზარია ვოსტოკას“ შენობის ადგილას.

## 1.10. საარქივო მასალის დამუშავება და პლევა

- თ. ვირსალაძის ნაშრომის "ზემო კრიხის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა", დიმიტრი თუმანიშვილი

ითარგმა თ. ვირსალაძის პირველად 1963 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი ზემო კრიხის მხატვრობის შესახებ (მეორედ დაისტამბა მეცნიერის რჩეულ ნაშრომთა კრებულში). რუსულად დაწერილი ეს შრომა აუცილებლად უნდა არსებობდეს ქართულად, თუმანიშვილის სასწავლო წიგნი პეტერბურგის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის. ტექსტი ითარგმნა მთლიანად, შეძლებისდაგვარად არა მარტო

აზრის, არამედ ავტორის თხრობის მანერის, ტერმინოლოგიის, სიტყვათხმარების ქართულად გადმოცემის მცდელობით. თარგმანს დართული აქვს შენიშვნები, რომელიც შეიცავს მონაცემებს თ. ვირსალაძის შრომის დაბეჭდვიდან გასული ნახევარი საუკუნის განმავლობაში შემატებულ პუბლიკაციებზე, სადაც დასტურდება ან ზუსტად ავტორის დებულებები თუ მოსაზრებანი.

- თ. ვირალაძის მონოგრაფიის – მხატვარ მიქელ მალლაკელის ფრესკული მხატვრობა მაცხვარიშში – კომენტირებული თარგმანი ქართულ ენაზე, მარინე ყენია

რუსულიდან ქართულად ითარგმნა თ. ვირსალაძის ერთ-ერთი ფუნდამენტური ნაშრომი შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის შესახებ („მაცხვარიშის მხატვრობა“). თარგმანს ერთვის შესაბამისი კომენტარები.

ხელოვნების სფეროს მომცველი საბჭოთა დროის მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემების დამუშავება

- ხელოვნების სფეროს მომცველი საბჭოთა დროის მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემების დამუშავება (თუმა გარდამავალია), ნინო ჭინჭარაული

მიმდინარე წლის განმავლობაში მოხდა უკანაალ *ИСКУССТВО*-ს (Орган комитета по делам искусств при совете министров СССР и оргкомитета союза советских художников СССР) სრული ანოტირებული ბიბლიოგრაფიის შედგენა, რომელიც გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის ბიბლიოთეკაში დაცულ შესაბამის პერიოდულ მასალებს დაეყრდნო. ეს უკანასკნელი თითქმის სრულად მოიცავდა უკანაალ *ИСКУССТВО*-ს 1947-1990 წლების გამოცემებს.

## 2. პეტლა აღმოჩენილობა და სამეცნიერო ინიციატივა

ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფის მიერ 2013 წელს განხორციელებული საქმიანობა:

- BRILL IDC-ეს ვებ-გვერდზე განთავსებული ინგლისურენოვანი რვატომეულის "Georgian Architecture"-ს მეგზურის ბიბლიოგრაფიის სრულყოფა;
- მომზადდა ხუროთმოძღვრული და კედლის მხატვრობის ძეგლთა სამეცნიერო აღწერილობები და სახვითი მასალა „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მრავალტომეულის მე-3 წიგნის I ნაწილისათვის, რომელიც გამოიცა 2013 წლის დეკემბერში;
- გამოსაცემად მომზადდა სერიის – „ქართული ნივთიერი კულტურის ძეგლები საზღვარგარეთ“ – ორი ალბომი „ხანცთა“ და „ხახული“;
- ჯგუფის არქივში არსებული ფოტოსურათების და ნახაზების ციფრულ ფორმატში ჩაწერა – ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლთა დიგიტალური არქივის შესაქმნელად.

## 3. პრეზიდისა და ბიბლიოთეკის სესხორი

3.1. ცენტრის არქივის თანამშრომლები აგრძელებენ საარქივო მასალის დამუშავებას, სისტემატიკიასა და კატალოგიზაციას.

### **3.2. პიბლიოთება**

ცენტრის ახალ შენობაში გადასვლათან დაკავშირებით ბიბლიოთეკაში მომდინარეობს – წიგნებისა სისტემატიზაცია, წიგნების დამუშავება, გაწმენდა, დახარისხება (გარდამავალი სამუშაო); ახალი წიგნების რეგისტრაცია.

### **3.3. ცენტრის ვებ-გვერდი**

მიმდინარეობს ცენტრის ვებ-გვერდის მუდმივი განახლება და ახალი მასალით შევსება (აზა ლობჟანიძე); [www.gch-centre.ge](http://www.gch-centre.ge)

## **4. სერბო ქობულაძის სახელობის ხელობების ძეგლთა ფოტოფიქსაციის დაგორატორიის საშმიანობა**

2013 წლის განმავლობაში ლაბორატორიის თანამშრომლების მიერ წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაო:

- საარქივო ფოტომასალის ციფრულ მატარებელზე გადატანა მაქსიმალური რეზოლუციით. დასკანერდა 350 ფერადი სლაიდი;
- დიგიტალიზირებული მასალის სისტემატიზაცია, ციფრულ ფორმატში დაარქივება და მასალის მოხმარების ოპტიმიზაციის მიზნით ელექტრონულ ანოტიციების ბაზის მომზადება;
- შესრულდა რიგი სამუშაოებისა ცალკეულ დაინტერესებულ პირთა და ორგანიზაციების;
- შესრულდა სამუშაოები ცენტრის თანამშრომელთათვის;
- 26 ნოემბერს ლაბორატორიამ, ცენტრი გალერეაში მოაწყო საღამო და საიუბილეო ფოტოგამოფენა, რომელიც მიეძღვნა ლაბორატორიის დაარსებიდან 40 წლისთავს.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ლაბორატორიის სლაიდოთეკაში დაცული, კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშთა ფოტოები და თემატური ბანერები ექსპედიციების ამსახველი შავ-თეთრი ფოტოების რეტროსპექტივით, აგრეთვე ლაბორატორიის დამარსებელთა და ცნობილ ფოტო-ხელოვანთა ფოტოპორტრეტები.

## **5. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია**

## **5.1. გამოვენები/პრეზენტაციები/გამოცემები/მემორანულებაი ცენტრის საგამოფენო საქმიანობა**

2013 წელს ცენტრის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოფენები:

- რენე შმერლინგის ექსლიბრისის უნიკალური კოლექციის გამოფენა - 15–30 ოქტომბერი
- ფიროსმანი დეტალებში – 5-7 ნოემბერი
- ფოტო-ლაბორატორიის დაარსებიდან 40 წლისთავსისადმი მიძღვნილი გამოფენა – 26 ნოემბერი-12 დეკემბერი
- ცენტრის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა – 23-30 დეკემბერი

## **5.2. 2011 წლის გამოცემები**

### **5.2.1. 2013 წელს ცენტრმა გამოსცა:**

- კრებული – გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი – 70 (კრებული შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს მ. დიდებულიძემ და ი. ხუსკივაძემ);
- ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი (ავტორი – ს. ლეჟავა);
- საგამოფენო კატალოგი – რენე შმერლინგის ექსლიბრისის უნიკალური კოლექციის გამოფენა (XIX ს. - XX ს.-ის 30 წწ.), შემდგენელი და ტექსტის ავტორი - მ. გაჩეჩილაძე;
-

## 5.2.2. ცენტრის პერიოდია

2013 წელს ცენტრმა გამოსცა ჯურნალი „საქართველოს სიძველენი“ №15 ჟურნალი – „საქართველოს სიძველენი“, რომელიც ეძღვნება გ. ჩუბინაშვილის სახ. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის დაარსებიდან 70 წლისთავს მასში გამოქვეყნდა ცენტრის თანამშრომელთა სტატიები:

- დ. თუმანიშვილი, ბიჭვინტის ტაძრის ხუროთმოძღვრების მნიშვნელობისთვის;
- თ. ხუნდაძე, ა. შანშიაშვილი, სვეტიცხოვლის სიმბოლური სახე ტყობა-ერდის ეკლესიის ფასადის მორთულობაში;
- თ. დადიანი, წმ. მხედართა იკონგრაფია შუა საუკუნეების ქართულ ქვის რელიეფებში;
- ნ. ჭიჭინაძე, ზარზმის ფერისცვალების ხატის თაყვანისცემის ისტორიისათვის;
- მ. ბულია, თეორი უდაბნოს მოხატულობა და ადრეული ქართული მხატვრობის ზოგი საკითხი;
- ე. კვაჭარაძე, „სელჯუქური“ ორნამენტი ქართულ და სომხურ არქიტექტურულ სკულპტურაში;
- კ. მაჩაბელი, აშოტ კუხის ტბეთის რელიეფური პორტრეტის ინტერპრეტაციისათვის;
- ი. ელიზბარაშვილი, ვერეს ბაზილიკა – ისტორიული მიმოხილვა,
- თ. სანიკიძე, წალენჯიხის მაცხოვრის ტაძარი;
- მ. ყენია, სინელი ხუცესის წარწერათა ინტერპრეტაციის ცდა;
- გ. გედეგანიშვილი, ქართულ მოხატულობათა ერთი იკონოგრაფიული თავისებურება;
- თ. ხოშტარია, გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის მოწამეთა ეკლესიის მოხატულობა;
- ი. ხუსკივაძე, წევა – წმ. გიორგის ეკლესია და მისი მოხატულოვა;
- მ. მანია, ციხისუბანი – ძველი თბილისის დაკარგული ფასეულობა;
- ც. ჩახხუნაშვილი, საქართველოს თეატრის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შენობა;
- ც. კილაძე, ავტოპორტრეტი შალვა ქიქოძის შემოქმედაბში,
- თ. ბელაშვილი, ახალი მხატვრული ტენდენციები XX ს-ის პირველი ათწლეულების ქართულ სცენოგრაფიაში,

2013 წელს ცენტრმა გამოსაცემად მოამზადა ჟურნალის № 16, რომელშიც შევიდა ცენტრის თანამშრომელთა სტატიები და რომელიც გამოდის 2014 წლის იანვარში.

- 06ტერნეტ-ჟურნალი – „Ars Georgica, სერია B“ ([www.georgianart.ge](http://www.georgianart.ge)), ჟურნალში გამოქვეყნდა ცენტრის თანამშრომელთა სტატიები.

### 5.3. ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოცემული წიგნები

- „ქართული მხატვრობა – განვითარების ისტორია, XVIII-XX საუკუნეები“ (ავტორები – მ. ციციშვილი, ნ. ჭოლოშვილი);
- საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის მრავალტომეულის მე-3 წიგნის I ნაწილი (გამოცემა მოამზადა ცენტრის ძეგლთა აღწერილობისა და სამეცნიერო ინფორმაციის ჯგუფმა)

### 5.4. სამეცნიერო და პოპულარულ გამოცემები გამოშვებული ცენტრის თანამშრომელთა ნაშრომები

- დ. თუმანიშვილი, "საბერეების" ეკლესიების ხუროთმოძღვრება, ძველი ხელოვნება დღეს, 4;
- გ. პაპაშვილი, ნიკო ფიროსმანაშვილის შემოქმედებისა და სოციალურ-კულტურული გარემოს გაგებისათვის, ძველი ხელოვნება დღეს, 4;
- ს. ლევავა, თრიალეთის ტრადიციული საცხოვრისი- საგულისხმო კულტურული მემკვიდრეობა, ძველი ხელოვნება დღეს, 4;
- გ. პატაშური, უცნობი ძეგლი ოშკის ტაძრის მახლობლად, ძველი ხელოვნება დღეს, 4;
- დ. თუმანიშვილი, დირებულებათა რდვევის გამო, კრ. გული გონიერი;
- ნ. ჭიჭინაძე, სინის მთის წმ.ეკატერინეს მონასტრის ქართული ფერწერული ხატების მხატვრული სისტემები: უფლის სასწაულებისა და ვნებების ამსახველი იოანე თოხაბის ხატი, კრ. უცხოეთის ქართული მემკვიდრეობა;
- მ. დიდებულიძე, ქართული ხელოვნებათმცოდნების წვლილი ქრისტიანული კულტურის გადარჩენაში საბჭოთა პერიოდში,
- ლოგოს;
- ოქროპირიძე, „გერგეტის სამების სახისმეტყველებისთვის“,
- ლოგოს
- თ. ბელაშვილი, დადაისტური ძიებები XX ს-ის პირველი ათწლეულების ქართულ სცენოგრაფიაში, რუსთაველის თეატრის მუზეუმის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სამეცნიერო შრომების კრებული
- მ. მემარიაშვილი, ფიროსმანი და რუსი ავანგარდისტები კრ. „კველაფერი ფიროსმანზე“
- გ. პაპაშვილი, ქართული პოპ-არტის საკითხისათვის, კრ. „XX საუკუნის ხელოვნება. სახელოვნებო პროცესები-1960-2000“.

## 5.6. უცხოეთში დაგენტილი და დასაბაზდად გადაცემული ნაშრომები

- D. KhoShtaria, The Basilica at Petra (Tsikhisdziri), *სიმპოზიუმის მასალები: Medieval Ports in North Aegean and the Black Sea: Links to the Maritime Routes of East, Proceedings of the International Symposium, Thessaloniki*;
- Mania, N. Natsvlishvili, Littoral Fortifications in South-West Georgia, *სიმპოზიუმის მასალები: Medieval Ports in North Aegean and the Black Sea: Links to the Maritime Routes of East, Proceedings of the International Symposium, Thessaloniki*;
- K. Mikeladze , Artifacts from Gonio and Tsikhisdziri, *სიმპოზიუმის მასალები Medieval Ports in North Aegean and the Black Sea: Links to the Maritime Routes of East, Proceedings of the International Symposium, Thessaloniki*;
- M. Didebulidze, Tao-Klarjeti murals; Interaction of Cultural Traditions, *კრებული: Synergies in visual culture, Festschrift für Gerhard Wolf, München*;
- T. Tabatadze, The Kimerioni: a Modernist Cafe in Tbilisi (1919-1921), *უკრავადი Modernism/modernity, V. 21*, Johns Hopkins University Press;
- M. Tsitsishvili, Georgian Modernist Painting 1910-1930, *კრებული – Un impero verso Oriente : tendenze orientaliste e arte russa fra Otto e Novecento*, Universita di Napoli "L'Orientale";
- M. Medzmariashvili, Niko Pirosmani-un pittore autodidatte e l'arte avanguardia *კრებული Un impero verso Oriente : tendenze orientaliste e arte russa fra Otto e Novecento*, Universita di Napoli "L'Orientale";
- N. Kipiani, *The Great Experiment, Georgian Avant-garde, Art Forum International, April 2013*
- N. Kipiani, The Book-Palimpsest – book dedicated to Sophia Melnikova, წიგნი *Kamikaze-Lodgia* (თანამედროვე ხელოვნების ვენეციის საერთაშორისო ბიენალეს ქართული პავილიონის წიგნი);
- N. Kipiani, About Georgian Avant-garde Book, წიგნი *Ministry of Highways, A Guide to the Performative Architecture of Tbilisi*, Stenberg Press, Berlin 2013;
- М.Медзмариашвили, Грузинские художники в России и Франции *უკრავადი ж. Русское искусство*, Москва

## 5.6. 2012 წელს ცენტრის თანამშრომელთა მიერ გამოსაცემად მომზადებული და დასასტაბიზად გადაცემული ნაშრომები:

### მონოგრაფიები

- გ. ხოშტარია, ნიკო ფიროსმანაშვილის მხატვრული მეთოდი (მონოგრაფია)
- ლ. ანდრონიკაშვილი, ნ. ერისთავი, ქართველ ოვადაზნაურთა კარმიდამო ქართლსა და კახეთში (მონოგრაფია)

უკრნალი „საქართველოს სიძველენი“ № 16

- ღ. თუმანიშვილი, კვლავ ბანას ტაძრის შესახებ;
- თ. სანიკიძე, გ. ცინცაძე, რ მეფისაშვილი;
- კ. მაჩაბელი, გომარეთის სტელები;
- ქ. აბაშიძე, ლიტურგიკული გეგმარების საკითხისათვის შეა საუკუნეების ქართულ ხუროთმოძღვრებაში;
- მ. ბულია, ქოლაგირის მოხატულობანი;
- ნ. ჩიტიშვილი, სვეტიცხოვლის სამეფო საყდარი;
- კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა სამხრეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (ხიზაბავრა და სხვილისი);
- ქ. საბაშვილი, „აჩნაძიანის სამების მოხატულობა;
- ს. ლექავა, დარბაზული ხუროთმოძღვრების რაობისათვის;
- თ. გერსამია, არქიტექტორი ანტონ ფონ ბრაუნმიული;
- მ. მანია, მოდერნიზმი თბილისის არქიტექტურაში;
- ნ. ჭიჭიარაული, ნეომინიატურული მხატვრობა – კულტურული იდენტობის ახალი რაცურსი

### **სტატიები და წერილები:**

- ღ. თუმანიშვილი, კვლავ "უხერხული მემკვიდრეობის" გამო" – *Academia*, №3
- ღ. თუმანიშვილი "ე. თაყაიშვილი და ხელოვნების ისტორია", ე. თაყაიშვილისადმი მიძღვნილი კრებული;
- თ. ხუნდაძე, მეფეთა გამოსახულებანი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრულ სკულპტურაში, "Academia", 3
- ნ. ჭიჭიანაძე, *Image and Identity - Visual Manifestation of Rulers' Authority in 7<sup>th</sup> Century Armenia and Georgia, Les relations interrégionales et la question de l'identité*, Montpellier;
- ნ. ჭიჭიანაძე, ტაო-კლარჯეთის სიწმინდეთა საკრალურ-იდეური ასპექტები, II საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი – მასალები;
- ნ. ჭიჭიანაძე, ჯრუჭი I ოთხთავის ღვთისმშობელი ოდიგიტრიის იკონური გამოსახულების რაობისათვის, ქართული ხელნაწერი – მასალები;
- ნ. ჩიტიშვილი, რუისის ფერისცვალების საკათედრო ტაძრის ტიმპანის რელიეფი, საისტორიო კრებული, №3, 2013;
- თ. სანიკიძე, უფლისციხე (ახალი მასალები). მეცნიერება და ტექნიკა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უკრნალი, №2, 2013;
- ნ. ციციშვილი, ე. ედიშერაშვილი, შეა საუკუნეების ტაო-კლარჯული წიგნის მხატვრობის ძირითადი ტენდენციები, II საერთაშორისო კონფერენციის „ტაო-კლარჯეთი“ (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ბათუმი, 2012) მასალებში;
- ნ. ციციშვილი, „ისლამური ხელოვნების გავლენები გვიანი შეა საუკუნეების რელიგიური ხელნაწერის გაფორმებაში, II

საერთაშორისო სიმპოზიუმის „ქართული ხელნაწერი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013) მასალებში;

- მ. გაბაშვილი, საქართველოში აღმოჩენილი ბრინჯაოს ჭვირული ბალთების წარმომავლობის ძიებისთვის, კადმოსი, № 5, ილიას უნივერსიტეტის ორგანიზაციის რეფერინგბაზი, თბილისი, 2014 (ქართულად და ინგლისურად);
- ქ. მაჩაბელი, ჯავახეთის ქვაჯვარები, კრებული „ჯავახეთის ქრისტიანული ძეგლები“;
- ქ. მაჩაბელი, ქართული ისტორიული კოსტიუმი;
- გ. ჭანიშვილი, წყურის ტაძარი, ახალციხის ეპარქიის ძეგლების კრებული;
- ე. ედიშერაშვილი, როსტომ მეფის გაცემული საბუთები, II საერთაშორისო სიმპოზიუმის "ქართული ხელნაწერი" (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, თბილისი, 2013) მასალებში;
- ე. ედიშერაშვილი, "XV-XVI საუკუნეების ქართული ლიტერატურგიკული გრაფიკის მხატვრული გაფორმების თავისებურებანი (ბიზანტიურ ნიმუშებთან მიმართება)", საერთაშორისო კონფერენციის "ბიზანტინოლოგია საქართველოში 4" (ბათუმი, 2013) მასალებში;
- დ. ჩიხლაძე, ქოლაგირის მონასტერი, შევიცარიის მეცნიერების ეროვნული ფონდის პროექტის საანგარიშო ხტატიათა კრებული „თეორი უდაბნოს მონასტერი“;
- ა.კლდიაშვილი, სტატია „ციტაციის მეთოდი თანამედროვე ქართულ მხატვრობაში“ ACADEMIA ;
- მ. გაჩეჩილაძე, შოთა რუსთაველის „გეფხისტყაოსანის“ მხატვრული გაფორმება, „ლიტარატურული საუბრები“, ტ. IV;
- მ. გაჩეჩილაძე, ირინე თუმანიშვილი (მხატვარი-გრაფიკოსი), ენციკლოპედიაში დასაბუღდად;
- მ. გაჩეჩილაძე, ექსლიბრისის ხელოვნების განვითარება საქართველოში უნდა გაგრძელდეს!, აღმანახი „მწიგნობარი-2013“ და რუსული თარგმანი უწერნალში: „Русский клуб“;
- მ. გაჩეჩილაძე, ჯემალ ლოლუა (1932-2001) (ტექსტი – 14 გერდი). აღმანახი „მწიგნობარი“;
- ო. გერსამია, სტატიები ენციკლოპედიისთვის “ Allgemeines Kunstslexikon ”, K.G.Saur Verlag. Munchen, Leipzig;
- ო. გერსამია, „Архитектор Константин Леонтьев“, უკრ. Русский клуб. თბილისი;
- მ. ო'კლეი, მხატვარ გურანდა ქლიბაძის გრაფიკული ხელოვნება. ACADEMIA;
- მ. ო'კლეი, დიზაინერ ნინო ჩუბინიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი;
- ც. კილაძე, დიდი ქალაქის, ურბანული გართობის თემა შალვა ქიქოძის შემოქმედებაში, ACADEMIA`;
- დ. ლებანიძე, მანაბა მაგომედოვა, ხტატია;

- 6. მანია, ბათუმის ინტერისტი - პოსტკონსტრუქტივიზმის გამორჩეული ნიმუში, კრებული - ბათუმი - წარხული და თანამედროვეობა, 2013 წლის მასალები;
- 6. მანია, აბასთუმნის წმ. პანტელეიონონ მეურნალის მონასტერი, სტატია გადაცემულია დასაბუღლად საპატიოარქოს უნივერსიტეტის გამომცემლობაში;
- ს. ლევაგა, დარბაზული არქიტექტურის რაობისათვის, საქართველოს სიძელები;
- მ. ციციშვილი, Georgian Modernist Painting in a European Context, კრებული „მოდერნიზი კავკასიაში, ბაქო, თბილისი, ერევანი“
- 6. ჭინჭარაული, ნეომინიატურული მხატვრობა – კულტურული იდენტობის ახალი რატურსი, საქართველოს სიძელები;
- 6. ჭინჭარაული, ქართული პროფესიონალური მხატვრობის ადრეული მოგონებები თემაზე – პეიზაჟი (რომანო გველესიანის დაზგური გრაფიკა), ძველი ხელოვნება დღეს;
- 6. ჭინჭარაული, ინტერვიუ ბ-ნ სამსონ ლევავასთან (ინტერვიუ შეეხება მკვლევარისა და დარბაზის ხუროთმოძღვრული ფენომენის მრავალწლიან სამეცნიერო ურთიერთობებს), ინტერნეტ-ურნალში ARS GEORGICA ([www.georgianart.ge](http://www.georgianart.ge));
- 6. ჭოდოშვილი, Georgian Modernist Painting and Germany - 1900-1940, (კრებული „მოდერნიზი კავკასიაში, ბაქო, თბილისი, ერევანი“);
- 6. ჭოდოშვილი, თბილისი ქართულ მხატვრობაში“ (თბილისის მერიის პროექტის პუბლიკაცია „ისტორიული თბილისი – კულტურული ასპექტები“);

სერიისათვის „ჩენი დირსებანი“ (ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილი ტომი), გამომცემლობა „წიგნი+ერო“ გადაცემულია:

- მ. გაბაშვილი, წინაქრისტიანული ხანის ხელოვნება, შეა საუკუნეების ხუროთმოძღვრება და ქვის პლასტიკა, ნაქარგობა;
- ქ. მიქელაძე, შეა საუკუნეების კედლის მხატვრობა, ხელნაწერთა გაფორმება, ფერწერული და ჭედური ხელოვნება, მინანქარი;
- დ. ლებანიძე, ახალი და თანამედროვე ქართული ფერწერა;
- ლ. ანდრონიკაშვილი, თანამედროვე ქართული არქიტექტურა;
- თ. ბელაშვილი, ახალი და თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება. ქართული სცენოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები;
- მ. გაჩეჩილაძე, ქართული გამოყენებითი გრაფიკა;
- მ. მემარიაშვილი, ქართული საერო ქანდაკება.

## 6. სამაცნივრო პოლიტიკის დანერგვის

### 6.1. ცენტრის მიერ ორგანიზებული კონფერენციები

2013 წელს ცენტრმა მოაწყო თრი კონფერენცია:

- კონფერენცია ქართული გრაფიკული ხელოვნების პრობლემები, რომელიც ჩატარდა რენე შმერლინგის ექსლიბრისის უნიკალური კოლექციის (XIX ს. - XX ს.-ის 30 წლ.) გამოფენასთან ერთად, 5-10 ოქტომბერი თრგანიზაციის: გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო სამსახურო აკადემია; პროექტის ხელმძღვანელი: მარიამ გაჩეჩილაძე (მონაწილეები: მ. მემარიაშვილი, თ. ბელაშვილი, გ. პაპაშვილი).
  - კონფერენციაზე მოხსენებები წაიკითხეს ცენტრის თანამშრომლებმა:
  - მ. გაჩეჩილაძე, ექსლიბრისის ხელივნების განვითარება საქართველოში უნდა გაგრძელდეს;
  - მ. მემარიაშვილი, ნიკოლოზ ჩერნიშკოვის გრაფიკულები.
- 
- საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია „ფიროსმანი და ქართული კულტურა“ (5-8 ნოემბერი)

თრგანიზაციის: გ. ჩუბინაშვილის ცენტრი, იუნესკო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საქართველოში აშშ საელჩო, კულტურულ-საგანმანათლებლო კავშირი „რუსული კლუბი“, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს ეროვნული არქივი. პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი პაპაშვილი.

მოხსენებები წაიკითხის ცენტრის თანამშრომლებმა:

- გ. პაპაშვილი, ფიროსმანაშვილის შემოქმედება იკონოლოგიურ ჭრილში;

- გ. ციციშვილი, XVIII-XIX საუკუნეების ქართული პორტრეტული მხატვრობის ზოგიერთი თავისებურების შესახებ;
- გ. ხოშტარია, შეფასებითი მსჯელობა და ფიროსმანაშვილის შემოქმედება;
- ს. ლეჟავა, ნიკო ფიროსმანაშვილი და ტრადიციული ხალხური ხელოვნება;
- ო. სანიკიძე, Mon Piros, Mon Piros... ფიროსმანი საგამოფენო სივრცეში.



## 6.2. სხვა პოლიტიკური მონაწილეობა

თბილისის სახ. უნივერსიტეტის კონფერენცია - „მხატვრული ფორმა: ეპოქები და ტენდენციები“, 15-16 ნოემბერი, 2013, თბილისი

- მ. დიდებულიძე, პროგინციულის ცნება შეა საუკუნეების ქრისტიანულ მხატვრობაში;
- ოქროპირიძე, სიტრყვიერ და ხილულ სახისმეტყველებათა მიმართვებისათვის;
- ლ. ანდრონიკაშვილი, ქალაქ თელავის ურბანული მემკვიდრეობის ღირებულების შესახებ;
- ს. ლეჟავა, ტრადიციული საცხოვრებელი არქიტექტურის პოტენციალი თანამედროვეობისათვის (ერთი წარმატებული ცდის შესახებ).

**II საერთაშორისო კონფერენცია – „ქართული ხელნაწერი“, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 25-30 ივნისი, 2013, თბილისი**

- ნ. ჭიჭინაძე, ჯრუჭი I ოთხთავის ღვთისმშობელი ოდიგიტრიის იკონური გამოსახულების რაობისათვის;
- ნ. ნაცვლიშვილი, კათოლიკური ეკლესიების მშენებლობა საქართველოში მიხეილ თამარაშვილის პირადი არქივის მიხედვით;
- ნ. ციციშვილი, ისლამური ხელოვნების გავლენები გვიანი შეა საუკუნეების რელიგიური ხელნაწერის გაფორმებაში;
- ე. ედიშერაშვილი, როსტომ მეფის გაცემული საბუთები

**საერთაშორისო კონფერენცია – ბიზანტინოლოგია საქართველოში 4, 24-30.09. 2013, თბილისი-ბათუმი**

- ნ. ჭიჭინაძე, დვოისმშობელი აგიოსორიტასას თაყვანისცემის ვიზუალური რეკონსტრუქცია;
- ე. გედევანიშვილი, პეიზაჟური ასახულობანი XII-XIII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში;
- კ. მაჩაბელი, ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები ქართული ხელოვნების კონტექსტში (ბიზანტიური მოდელი და ქართული რეპლიკები);
- ე. ედიშერაშვილი, XV-XVI საუკუნეების ქართული ლიტურგიკული გრაგნილების მხატვრული გაფორმების თავისებურებანი (ბიზანტიურ ნიმუშებთან მიმართება).

**"თბილისის ჰამქრისა" და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ორგანიზებულ კონფერენცია - „ურბანული მემკვიდრეობა – პრობლემები და პერსპექტივები“ – 05.03, თბილისი**

- მ. მანია, ისნის უძველესი უბნის ურბანული თავისებურებები და რუისის სახეცვლილი ქუჩა.

**საერთაშორისო კონფერენცია „ბათუმი - წარსული და თანამედროვეობა“, 1-2 სექტემბერი, 2013, ბათუმი**

- მ. მანია, ბათუმის ინტურისტი და მისი წინამორბედი ნაგებობა.

**Euro East Culture Programme. ICOMOS Georgia. თბილისი, 2013**

- M. Mania, District of Kala, Tbilisi - Current Construction Works and State of Preservation of the Built Heritage. Three case Studies

**რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრის 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი კონფერენცია, თბილისი**

- თ. ბელაშვილი, დადაისტური ძიებები XX საუკუნის პირველი ათწლეულების ქართულ სცენოგრაფიაში.

**კონფერენცია: „შევინარჩუნოთ და გადავარჩინოთ კულტურული მემკვიდრეობა მომავალი თაობებისთვის“. 29 ივნისი, თელავი**

- ქალაქ თელავის დასაცავი ფასეულობების შესახებ

**International Symposium - Medieval Ports in North Aegean and the Black Sea: Links to the Maritime Routes of East, 3-7, 12. 2013, Thessaloniki**

- D. Khoshtaria, The Basilica at Petra (Tsikhisdziri);
- K. Mikeladze, Artifacts from Gonio and Tsikhisdziri;
- Mania, N. Natvlishvili, Littoral Fortifications in South-West Georgia

**L'organisation des solitudes, du désert de Libye au Caucase. Le monachisme ancien à la lumière des sources archéologiques et littéraires. Geneve. 25.04. – 26.04. 2013**

- D. Chikhladze, Architecture of the Main Church of Tetri Udabno Monastery
- M. Bulia, Wall Paintings of Kolagiri Monastery,

**International Medieval Congress University of Leeds, UK 01-04.07.2013**

- N. Chichinadze, Luxury or Way of Salvation? Embellishing Devotional Images,
- OISTAT- ორგანიზაციის მსოფლიო კონგრესი, –KKardiff, Uk, 5-10, 09., 2013
- M. Okley, Georgian Theatre Design

უორგშოპი „ადგილობრივი თავისებურებები საზღვრის გასწორივ“, ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტი

- N. Chitishvili, Architecture of Refectories in Medieval Georgia.

## 7. მიმდინარე და მძღვანელები

2013 წელს ცენტრის თანამშრომლობის სისტემატიურად დადიოდნენ სამეცნიერო ექსპედიციებსა და მივლინებებში როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ (თურქეთი (ტაო-კლარჯეთი), საბერძნეთი, გერმანია, იაპონია, უკრაინა და სხვა).

## 8. საერთაშორისო ურთიერთობები და პროექტები

ცენტრი აგრძელებს თანამშრომლობას საერთაშორისო სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, ანხორციელებს საერთაშორისო პროექტებს.

### მიმდინარე პროექტები

- საერთაშორისო პროექტი – „OLKAS ეგეოსიდან შავ ზღვამდე – შუა საუკუნეების ნაესადგურები აღმოსავლეთის საზღვაო გზებზე“ 2011-2014), პროექტში მონაწილეობს საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, თურქეთის, უკრაინის სამეცნიერო დაწესებულებები და გ. ჩუბინაშვილის (ცენტრი). პროექტმა 2011 წელს გაიმარჯვა შავი ზღვის აუზის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის (Black Sea CBC) ფარგლებში ჩატარებულ პირველ კონკურსში. წამყვანი ორგანიზაციაა თესალონიკის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპული ცენტრი. გ. ჩუბინაშვილის ცენტრიდან პროექტში მონაწილეობენ – დ. ხოშტარია (მენეჯერი), ქ. მიქელაძე (სამეცნიერო ხელმძღვანელი), ნ. ნაცვლიშვილი, ი. მანია. 2012 წელს პროექტის ფარგლებში ჯგუფის წევრებმა შეასრულეს პროექტით გათვალისწინებული სამუშაო (მონაცემთა ბაზისთვის მასალის მომზადება). 2013 წელს პროექტის მონაწილენი იყვნენ მივლინებაში ბათუმში, მონაწილეობა მიიღეს სტამბოლში გამართულ სამუშაო შეხვედრაზე და პროექტის ფარგლებში გამართულ თესალონიკის საერთაშორისო სიმპოზიუმში.
- ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტისა და გ. ჩუბინაშვილის ცენტრის ერთობლივი პროექტი – „ხუროთმოძვრული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება და შეფასება ქრისტიანული და ისლამური კულტურების რეგიონებში“. 2009-2013 წლებში გ. ჩუბინაშვილის ცენტრმა და ტოკიოს

ტექნოლოგიის ინსტიტუტმა განახორციელებს ერთობლივი კვლევითი პროექტი, რომლის მიზანია შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო და საერო არქიტექტურის ძეგლების ფიზიკური მდგრამარეობის შესწავლა ტექნიკის უახლესი საშუალებების გამოყენებით. პროექტის ხელმძღვანელები არიან იაპონელი მეცნიერი შირო სასანო და ცენტრის მეცნიერთანამშრომელ დავით ხოშტარია. (პროექტში მონაწილეობენ ნ. ნაცვლიშვილი, გ. პატაშვილი, მ. გაბაშვილი, მ. ლილუაშვილი, ი. მანია, ე. ედიშერაშვილი). 2013 წელი იყო პროექტის დამაგვირგვინებელი ეტაპი. სულ პროექტის ფარგლებში შესწავლილი იქნა რამდენიმე ათეული ნაგებობა. კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს სრულად გამოვავლინოთ შენობათა დაზიანებები, დავადგინოთ სეისმომედეგობის დონე და, შესაბამისად, განვსაზღვროთ შესაძლო რისკები. ამდენად, მათ დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების ნაგებობათა დაცვისა და რესტავრაციის დონისძიებების შესამუშავებლად. 2013 წლის ნოემბერში ტოკიოში გაიმართა პროექტის შემაჯამებელი უორკშოპი, რომელზეც მოხსენებებით წარდგნენ დავით ხოშტარია და ნატალია ჩიტიშვილი.

- საერთაშორისო პროექტი: „ლიმენი“— კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე. გიორგი ჩუბინაშვილის ცენტრი 2013 წლიდან მონაწილეობს ევროკავშირის შავი ზღვის აუზის თანამშრობლობის პროგრამის ფარგლებში დაწყებული პროექტში „ლიმენი: კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“ ("LIMEN"), Cultural Ports from Aegean to the Black Sea"). პროექტის განხორციელების ვადა არის 2 წელი. პროექტის ორგანიზაციონია ბიზანტიური და პოსტ-ბიზანტიური ძეგლების ევროპული ცენტრი (EKBMM, თესალონიკი); პროექტის პარტნიორები არიან: თურქეთი, საბერძნეთი, რუმინეთი, უკრაინა, ბულგარეთი. პროექტის მხარდამჭერები არიან: შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC), შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის თორგანიზაციის ბიზნეს საბჭო (BSECBC), შავი და აზოვის ზღვების პორტების ასოციაცია (BASPA), შავი ზღვის საერთაშორისო კლუბი (IBSC). პროექტის მიზანია შავი ზღვის რეგიონში კულტურული ტურიზმის განვითარება და „კულტურის ევროპული დედაქალაქის“ გამოცდილების გამოყენებით ახალი ინსტიტუციის: „შავი ზღვის კულტურული პორტის“ დაფუძნება. ინსტიტუციის მიზანია შავი ზღვის აუზის ქალაქი-პორტები მემკვიდრეობისა და სპეციფიკური ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაცია; ქალაქი-პორტების მდგრადი და თანასწორი თანამშრომლობის ეკონომიკური და კულტურული პლატფორმის მომზადება. საწყის ეტაპზე პროექტი გულისხმობს სათანადო ქსელების ჩამოყალიბებას პარტნიორ ქვეყნებში.

- 2013 წელს FaRiG-ის (საქართველოში სამეცნიერო კვლევის მეგობართა ინგლისური საზოგადოებისაგან) მიერ დაწესებული პრემია Caroline Adams Essay Prize მიიღო ცენტრის ორმა თანამშრომელმა – გიორგი პაპაშვილმა და ეკატერინე გელევანიშვილმა (ნაშრომისათვის “The Symbolic Interpretation of St Nicholas’s Church at Gelati Monastery”)
- 2013 წლის განმავლობაში ცენტრის მეცნიერები აქტიურად იყვნენ ჩართული თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე (კერძოდ იშხნის საკათედრო ტაძარზე) მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების მონიტორინგსა და შეფასებაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ექსპერტებთან ერთად. ცენტრის მეცნიერებმა მოამზადეს და სამინისტროს წარუდგინეს შენიშვნები და რეკომენდაციები მიმდინარე სამუშაოების თაობაზე, რომლებსაც თურქელი მხარე ახორციელებს.

## **9. სახელმწიფო და სხვა სახის გრანტები მონაწილეობა**

### **9.1. რუსთაველის ფონდი. ქართველოლოგის, პუმანიტარული და სოციალური მეცნიერების ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტები:**

- ქართულ-სომხური კულტურული ურთიერთობები XII-XII სს-ის ქალაქედონური ტაძრები დღევანდებული ჩრდილოეთი სომხეთის ტერიტორიაზე (ქ.აბაშიძე, მ. ჯანჯალია, მ. ბულია (ჩუბინაშვილის ცენტრი), გ. გაგოშიძე (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო), თ. ჯოჯუა (ისტორიის ინსტიტუტი))
- ქართული მხატვრობა— განვითარების ისტორია (მ. ციციშვილი, ნ. ჭოდოშვილი)

### **9.2. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის პრეზიდენტის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის**

- ნ. ნაცვლიშვილი, არქიტექტურა და იდენტობა: კათოლიკური ეკლესიები სამხრეთ საქართველოში (2012-2013);
- ე. ედიშერაშვილი, ქართული ლიტერატურის გრაგნილების მხატვრული გაფორმება (2012-2013)

### **9.3. რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა**

- ნ. ნაცვლიშვილი, არქიტექტურა და იდენტობა: კათოლიკური ეკლესიები საქართველოში (2013-2014);
- ნ. ებანოიძე, კონცეპტუალური ფორმე 1980-იან-1990-იანი წლების ქართულ ხელოვებაში
- გ. პაპაშვილი, ახალი ქართული მხატვრობა და ფოტოგრაფია

- გ. ედიშერაშვილი, კულტურათა დიალოგი XVI-XIX საუკუნეების საქართველოში (მეფეთა მიერ გაცემული საბუთები) 2013-2014

#### **საერთაშორისო ფონდი – FaRiG**

- ნ. ჩიტიშვილი, სამეცნ და სამდგდელმთავრო საყდრები (2013-2014)

#### **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო**

- მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრის საზღვრების მოდიფიკაცია, (დ. ხოშტარია, ქ. მიქელაძე, ნ. ნაცვლიშვილი, ნ. ჩიტიშვილი.

### **10. ცენტრის თანამშრომელთა მიერ 2013 წელს განხორციელებული საბაზოანათლებლო, სამსახურთო და საზოგადოებრივი საჭიროებები**

#### **10.1. დისერტაციებისა და დიპლომების ხელმძღვანელობა, ოპონირება**

ცენტრის თანამშრომლები ხელმძღვანელობას უწევენ სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომებს, არიან დისერტაციების ოპონირები და რეცენზენტები.

#### **10.2. საჯარო ლექციები**

- დ. თუმანიშვილი, საჯარო ლექციები – "ფასეულობათა შემსწავლელი საზოგადოების" ლექტორიუმსა და "მწერლის სახლში ;
- დ. თუმანიშვილი, ფიროსმანის ნამუშევრების ქრონოლოგიის საკითხებები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლაბლო პროგრამის „ფიროსმანი - 150“ ფარგლებში);
- გ. ხოშტარია, უახლესი დროის მხატვრობის ძირითადი მახასიათებლები (საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლაბლო პროგრამის „ფიროსმანი - 150“ ფარგლებში);
- გ. ხოშტარია, ქართული მხატვრული რეალობა მოდერნიზმის ეპოქაში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლაბლო პროგრამის „ფიროსმანი - 150“ ფარგლებში)
- ო. ბერლაშვილი, „დადაიზმი XXს.-ის დასაწყისის ქართულ ხელოვნებაში“. ივანე ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტის მიერ განხორციელებული საჯარო ლექციები „ძველი და ახალი ქართული ხელოვნება“;
- გ. პაპაშვილი, „ფიროსმანი - მედიუმი (ხელოვანი, სივრცე, დრო)“, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლაბლო პროგრამის „ფიროსმანი - 150“ ფარგლებში
- „ფოტოგრაფია - რეგოლუცია ვიზუალურ აზროვნებაში“, თსუ მუდმივმოქმედი სემინარის „ძველი და თანამედროვე ხელოვნების საკითხები“ ფარგლებში.

### **10.3. ცენტრის თანამშრომელთა პედაგოგიური მოღვაწეობა**

ცენტრის თანამშრომლები აქტიურად ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას სხვადასხვა უმაღლეს საწავლებლებში

- თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ხელოვნების ისტორიისა და რესტავრაციის ფაკულტეტებზე: დ. თუმანიშვილი, თ. ხუნდაძე, მ. ყენია, მ. ჯანჯალია, ლ. ანთელავა, ა. კლდიაშვილი, თ. ბელაშვილი, მ. მანია, ე. კვაჭატაძე, ი. ელიზბარაშვილი, ც. კილაძე, ს. ლეჟავა, თ. ტაბატაძე, თ. გერსამია;
- ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში პუმანიტარულ ფაკულტეტზე: მ. ციციშვილი, ნ. ჭოდოშვილი, გ. ხოშტარია;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი (მიმართულება – პუმანიტარული/ხელოვნების ისტორია): ნ. ჭიჭინაძე, მ. გაბაშვილი, ნ. ყიფიანი, მ. ოკლეი;
- სასულიერო აკადემიაში: დ. თუმანიშვილი, მ. დიდებულიძე, ა. ოქროპირიძე, ქ. აბაშიძე;
- სოხუმის უნივერსიტეტში: ა. ოქროპირიძე;
- საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი: გ. ჭანიშვილი;
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი: თ. სანიკიძე;

### **10.4. ცენტრის თანამშრომელთა საექსპერტო საქმიანობა**

ცენტრი თანამშრომლები არიან სხვადასხვა სამცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები:

- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან არსებული კედლის მხატვრობის კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – მ. დიდებულიძე, ლ. ხუსკივაძე, ქ. მიქელაძე, მ. ჯანჯალია, მ. ბულია;
- საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან არსებული ხუროთმოძღვრების კონსერვაცია-რესტავრაციის სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩახხუნაშვილი;
- საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრთან არსებული სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო – მ. დიდებულიძე, გ. ჭანიშვილი;
- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან არსებული მოძრავი ძეგლების საექსპერტო კომისია – დ. ლებანიძე, მ. ციციშვილი;

- საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საექსპერტო-სამეცნიერო არქიტექტურული საბჭო – გ. ჭანიშვილი;
- საქართველოს კულტურის სამინისტროსთან შექმნილი საგანგებო კომისია
  - მიმდინარე სარეაბილიტაციო პროგრამების განხილვის და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით – ლ. ანდრონიკაშვილი;
- ობილისის მერიისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო – მ. დიდებულიძე, თ. გერსამია;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის სახელმძღვანელოთა შეფასების კომისია – ნ. ჭოდოშვილი;
- ICOMOS ARSAH საერთაშორისო სამეცნიერო კომიტეტის წევრი – ი. ელიზბარაშვილი;
- ICOMOS International -ის წევრი – ი. ელიზბარაშვილი, ც. ჩაჩუნაშვილი;

## **11. კულტურული მემკვიდრეობის რეაგილიტაცია-რესატარაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობა**

ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესატარაციისა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული საკითხებია. ცენტრის თანამშრომლები მუდმივად მონაწილეობენ ძეგლთა სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო პროექტებში, ასრულებენ ძეგლების სახელოვნებათმცოდნეო კვლევასა და სარესტავრაციო რეკომენტაციებს, მუშაობენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მეთოდოლოგიაზე, ანხორციელებენ რეაბილიტირებული ძეგლების მონიტორინგს.

2013 წელს ცენტრში იმართებოდა კულტურული მემკვიდრეობის სემინარები (ხელმძღვანელი დიმიტრი თუმანიშვილი)

ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობა ძეგლთა დაცვით და საკონსერვაციო/სარეაბილიტაციო პროექტებში:

- ვარძიის ტაძრის მოხატულობის წინასაკონსერვაციო კვლევა – გ. ჯანჯალია (პროექტს ახორციელებს ლონდონის უნივერსიტეტის კურტაულისტიტუტის კედლის მხატვრობის კონსერვაციის დეპარტამენტი (London University Courtauld Institute of Art Wall Painting Conservation Department), საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რესტავრაციის ხელოვნების ინსტიტუტისა და თეორიის ფაკულტეტი);

- შატილის რეაბილიტაციის პროექტი (საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სააგენტო), გ. ჭანიშვილი, ჩაჩეუნაშვილი, გ.
- თელავი, ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმა (განხორციელდა – ხელოფნების საერთაშორისო ცენტრი „Istoriali“-ს მიერ), მ. სურამელაშვილი;
- ლაილაშის სინაგოგის რეაბილიტაცია, გ. ჭანიშვილი;
- ფოთის სინაგოგის რეაბილიტაცია, გ. ჭანიშვილი
- ახალციხის ებრაელთა სასაფლაოს რეაბილიტაცია, გ. ჭანიშვილი;
- აკურას ბაზილიკის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. სააღრიცხვო ბარათი და პასპორტი), გ. ჭანიშვილი;
- სარფის ეკლესიის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები), გ. ჭანიშვილი;
- პეტრას ციხის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები); გ. ჭანიშვილი ;
- სვანეთი, მუჟალ-მულახის თემი (კულტურული მემკვიდრეობის ზონების კვლევა), გ. ჭანიშვილი;
- ჩუქულის ეკლესიის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები), გ. ჭანიშვილი;
- ჩიხარიშის ეკლესიის რეაბილიტაცია (სახელოვნებათმცოდნეო კვლევა და რეკომენდაციები. სააღრიცხვო ბარათი და პასპორტი), გ. ჭანიშვილი;
- მცხეთის საყრდენი გეგმა (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დახასიათება, მცხეთის ურბანული განვითარების გამოკვლევა და რეკომენდაციები ზონების დასადგენად) გ. ჭანიშვილი;
- სუბ-გევორქის ეკლესიის რეაბილიტაცია (რეკომენდაციები ძეგლის „გახსნის“ შემდეგ), გ. ჭანიშვილი;
- სახელოვნებათმცოდნეო დასკვნების და რეკომენდაციების მომზადება ძველი თბილისის მუნიციპალიტეტში მშენებლობასთან დაკავშირებით (27 დასკვნა), გ. ჭანიშვილი.

## საზოგადოების ინფორმირება

ცენტრი აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში. კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით და ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიოგადაცემებში. საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიასთან („ერთსულოვნება“) და რადიოსთან თანამშრომლებენ ა. ოქროპირიძე, ქ. აბაშიძე-დადიანი, მ. დიდებულიძე.

მუდმივად მიმდინარეობს ცენტრის ვებ-გვერდის ახალი მასალით შევსება და განახლება. [www.gch-centre.ge](http://www.gch-centre.ge)

## პროგნოზები

2013 წლის მარტში გ. ჩუბინაშვილის ცენტრი 20 წლიანი უსახლკარობისა და ლტოლვილობის შემდეგ გადავიდა ახალ შენობაში, რომელიც მას თბილისის მერიამ 2010 წელს გადასცა და გაურემონტა კიდევ. ამგვარად მოგვარდა უმთავრესი პრობლემა.

თუმცა ახალ შენობაში ახალი პრობლემები წარმოიშვა.

პირველ რიგში ეს არის ახალი ფართის შესაბამისად გაზრდილი კომუნალური ხარჯები – ნაცვლად 120 კვ. მ, ახლა ცენტრს გააჩნია 900 კვ. მეტრი, რომლის ელექტროფიკაცია-გათბობა ცხადია გაცილებით დიდ ხარჯს ითხოვს.

მეორე მნიშვნელოვანი პრობლემა დაკავშირებულია ბიბლიოთეკის გამართვასთან. ამჟამად ცენტრს გააჩნია საკმაო ფართი, სადაც შეიძლება განთავსდეს ცენტრის ბიბლიოთეკის ის ნაწილი, რომელიც გადაურჩა 1991 წლის ხანძარს და თითქმის 20 წელი ტომრებში იყო ჩაწყობილი. მაგრამ სტელაჟებისთვის საჭირო თანხა ცენტრის ბიუჯეტში არ მოიპოვება. ცენტრმა დახმარებისთვის კულტურის სამინიტროს მიმართა. ვიდრე ბიბლიოთეკა სათანადოდ არ გაიმართება, ნორმალური სამეცნიერო საქმიანობა ცენტრში ვერ დაიწყება.

მესამე პრობლემა არის აღჭურვილობა –თანამშრომლებს აქვთ ახალ გაზრდილ სივრცეში მუშაობის სურვილი, მაგრამ აღჭურვილობის (კომპიუტერული და სხვა ციფრული აღჭურვილობის) არასაკმარისო რაოდენობა – 56 მეტ. თანამშრომელზე არის 5 კომპიუტერი – ხელს უშლის ამ მიზნების განხორცოელებას. დიდი დახმარება აღმოუჩინა ცენტრს აშშ-ს საელჩომ, რომელმაც ერთის მხრივ გამოპყო საბიბლიოთეკო თაროები და ავგვი, მეორე მხრივ კი გადაურიცხა თანხა 6 კომპიუტერისთვის.

ასევე პრობლემად რჩება წმინდა სამეცნიერო კვლევების დაფინანსება. მიუხედავად იმისა, რომ 2006 წლიდან საგრმნობლად გაიზარდა სახელმწიფოს მხრიდან გ. ჩუბინაშვილის ცენტრის საქმიანობის დაფინანსება, ეს მაინც არ არის საკმარისი გ. ჩუბინაშვილის ცენტრის მთელი პოტენციალის ასამოქმედებლად და მისი საქმიანობის ფართო გაშლისთვის.

კვლავ არის გარეშე წყაროებიდან თანხების მომიების საჭიროება ექსპედიციებისთვის (განსაკუთრებით საზღვარგარეთ არსებული საქართველოს

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე), კონფერნეციების მოსაწყობად, საერთაშორისო თავყრილობებში მონაწილეობისთვის, ცენტრის თანამშრომლების მიერ მომზადებული წიგნების გამოსაცემად, ცენტრის ბიბლიოთეკისთვის ახალი წიგნების და პერიოდული გამოცემების შესაძენად, ახალგაზრდა სპეციელისტების მისაღებად და სხვ. საჭიროა თვით საქართველოში არსებობდეს ნაირგვარი დონორი ორგანიზაციები, კერძოც და სახელმწიფოც, მაგ., როგორც რუსთაველის ფონდი. ამისთვის აუცილებელია მიღებულ იქნას კანონი ქველმოქმედების შესახებ კულტურის სფეროში, რაც გამოიწვევს სამეცნიერო კვლევების დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაცისა და გამრავლებას

ჯერაც პრობლემას წარმოადგენს ცენტრის მიერ გამოცემული ბეჭდვითი პროდუქციის საზღვარგარეთ – მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრებსა და დარგის წამყვან მეცნიერებთან გაგზავნა, რაც აუცილებელია ჩვენი ხელოვნების და ჩვენი სამეცნიერო მიღწევების პოპულარიზაციისთვის.

ცენტრს აქვს გარკვეული პრობლემები სწრაფი რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტებასა და გაგზავნაში ჩვენთვის საინტერესო ძეგლების ან მათზე მიმდინარე სარერსტავრაციო-საკონსერვაციო სამუშაოების შესახწავლად.

ფოტოლაბორატორია ესაჭიროება დამატებითი აღჭურვილობა და ფოტოფიქსაციის დიდმაშტაბიანი ექსპედიციების მოწყობის შესაძლებლობა. (მაგ. ს. ქობულაძის მიერ შექმნილი ხარაჩოების აღდგენა და სხვ.). ლაბორატორიის არქივი საჭიროებს განახლებას და შევსებას, რაც დამატებითი თანხების მოძიებას ითხოვს.

ექსპედიციებში ნორმალური მუშაობისთვის აუცილებელია ასევე მობილური ხარაჩოები, განსაკუთრებით კედლის მხატვრობის კვლევის დროს.

ცენტრი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ხელოვნებისა და კულტურის შესახებ არსებული, ძველი და ახალი გამოცემების თარგმნას ევროპულ ენებზე, რათა სათანადოდ წარმოჩნდეს ქართული ხელოვნებაომცოდნეობის მიღწევები, ღვაწლი და წვლილი მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, რაც სამწუხაროდ, ჯერაც არ არის ჯეროვნად დაფასებული. მაღალპროფესიულ დონეზე შესარულებული თარგმანისთვის კი საგანგებო თანხებისა საჭიროა.

## დასპპერ

2013 წელს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულმა ცენტრმა შეასრულა სახელმწიფოს (კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტროს) წინაშე აღებული ვალდებულებები როგორც

სამეცნიერო კვლევის, ისე კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და დაცვის მიმართულებით.

2013 წელს გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრი ოცნებისა უსახლკარობის შემდეგ გადავიდა ახალ შენობაში (ათონელის ქ. №9), რომელიც მასა გადასცა და გაურემონტა ქ. თბილისის მერიამ.

2013 წელს ცენტრის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ დამუშავდა გეგმით გათვალისწინებული 52 სამეცნიერო თემა.

2013 წელს ცენტრმა გამოსცა ერთი კრებული და ორი გატალოგი; გამოსცა ცენტრის ურნალი – „საქართველოს სიმველენი“ (№15) და გამოსაცემად მოამზადა № 16; აგრეთვე და ინტერნეტ-ურნალის – ‘Ars Georgica’ სერია B - 2013 წლის ნომერი..

2013 წელს ცენტრმა მოაწყო ორი სამეცნიერო კონფერენცია: ქართული გრაფიკული ხელოვნება და საერთაშორისო ინტერდისციპლინური კონფერენცია „ფიროსმანი და ქართული კულტურა“

2013 წელს ცენტრმა გამართა 4 გამოფენა – რენე შმერლინგის ექსლიბრისის უნიკალური კოლექციის გამოფენა (XIX ს. - XX ს.-ის 30 წლ.); გამოფენა –ფიროსმანი დეტალებში; ფოტო-ლაბორატორიის დაარსებიდან 40 წლისთავსისადმი მიძღვნილი გამოფენა და ცენტრის თანამშრომელთა ნამუშევრების გამოფენა.

2013 წლის განმავლობაში ცენტრის მეცნიერ თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს 29 სამეცნიერო სტატია სამამულო პერიოდულ გამოცემებსა და კრებულებში; 11 სამეცნიერო სტატია უცხოეთის პერიოდიკაში და სამეცნიერო კრებულებში; გამოსაცემად მომზადებულია 2 მონოგრაფია და 56 სტატია; ცენტრის თანამშრომელთა მონაწილეობით გამოიცა 2 წიგნი და ერთი კატალოგი.

2013 წელს ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს სამეცნიერო თავმყრილობებში, როგორც ქვეყნის შიგნით (13 კონფერენცი/უორქშოფი, მონაწილეობა მიიღო ცენტრის 25 მეცნიერ-თანამშრომელმა), ისე საზღვარგარეთ (5 კონფერენცია/უორქშოფი, მონაწილეობა მიიღო 8 მეცნიერ თანამშრომელმა).

2013 წელს ცენტრის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მოპოვებულ იქნა სამეცნიერო გრანტები: ადგილობრივი ფონდებიდან – 9, საერთაშორისო გრანტები – 4.

კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია-რესტავრაციის მიმართულებით ცენტრის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 15 პროექტში; ამას გარდა, ახორციელებდნენ რეაბილიტირებული და რესტავრირებული ძეგლების მონიტორინგს.

ცენტრის მეცნიერ თანამშრომლები არიან სხვადასხვა სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოს წევრები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განახორციელდა ს. ქობულაძის სახ. ძეგლთა ფოტოფიქსაციის ლაბორატორიამ: განახლდა და შეივსო ფოტო-არქივი, დამზადდა 400 საკართველო ბარათი, დასკანერდა 350 სლაიდი.

ცენტრი ახორციელებს სამ საერთაშორისო პროექტს: „**OLKAS ეგეოსიდან შავ ზღვამდე – შუა საუკუნეების ნავსადგურები აღმოსავლეთის საზღვაო გზებზე“** (საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის, თურქეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან ერთად); და „**ხუროთმოძვრული ტექნოლოგიების ურთიერთქმედება და შეფასება ქრისტიანული და ისლამური ძულტურების რეგიონებში“** (ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტუტთან ერთად). საერთაშორისო პროექტში – „**ლიმენი**“ (დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ), რომელშიც მონაწილეობს საბერძნეთის, ბულგარეთის, რუმინეთის, უკრაინის თურქეთის სამეცნიერო დაწესებულებები. პროექტში მონაწილეობისთვის ცენტრმა მიიღო საქართველოს მთავრობის ჯილდო.

2013 წლის განმავლობაში ცენტრის თანამშრომლები აწყობდნენ როგორც ერთდღიან გასვლებს ძეგლებზე, ისე ხანგრძლივ სამეცნიერო ექსპედიციებს საქართველოს სახვადასხვა რეგიონებში, მონაწილეობა მიიღეს ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში, მივლინებით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ.

2013 წლის განმავლობაში გ. ჩუბინაშვილის ცენტრი აგრძელებდა თანამშრომლობას სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, როგორც საქართველოში – ხელოვნების მუზეუმთან, საქართველოს საპატრიარქოსთან, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან, სოხუმის უნივერსიტეტთან, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსთან, სამხატვრო აკადემიასთან და სხვა, ისე საზღვარგარეთ – ფლორენციის მაქს პლანკის ხელოვნების ინსტიტუტთან, ტოკიოს ტექნოლოგიის ინსტიტუტთან, თესალონიკის ბიზანტიური და პოსტბიზანტიური ძეგლების ევროპულ ცენტრთან, ტუშას (ქ. ვიტერბო, იტალია) უნივერსიტეტთან; ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს დარგში მოდვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებთანაც.

ცენტრის მეცნიერ თანამშრომლები (25 მეცნიერი) აქტიურად არიან ჩაბმული საგანმანათლებლო საქმიანობაში თბილისის რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში.

კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით და ძეგლთა დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ცენტრის თანამშრომლები მონაწილეობენ სატელევიზიო და რადიოგადაცემებში. ცენტრი მუდმივად აწვდის საზოგადოებას თავისი საქმიანობისა და კულტურის მნიშვნელოვან სიახლეებს ვებ-გვერდის ([www.gch-centre.ge](http://www.gch-centre.ge)) საშუალებით.

დიმიტრი თუმანიშვილი  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე

მარიამ დიდებულიძე  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული ცენტრის დირექტორი

თბილისი, 2014 წლის 15 იანვარი

